# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 3 ნოემბერი, 2009 წელი.

№ 222 (6322)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დღეს — ხვალისთვის 3



4

სალომე ზურაბიშვილი:

## არავითარ შემთხვევაში ძველს არ გავიმეორებთ!

სამშობლოს განცდა 5



9

ანაიდა ბესტავაშვილი:

## ჩემი მთავარი ბედნიერება და სიმდიდრე საქართველოა...

რჩევა უცხოეთიდან



5

პაველ ფელგენგაუერი:

## საქართველო ამჯერად ცხელი აპრილისთვის მაქსიმალურად უნდა მოემზადოს

## შემგუებლები და შეურიგებლები 3

ცოტა უცნაური კია: ერთი ძმა გამსახურდია საპარლამენტო ოპოზიციაში, მეორე — პოლიციაში, მესამე — ციხეში, ზვიად გამსახურდიას მეუღლე მანანა — „კანონიერი მთავრობის“ სათავეში!



## სერგეი ბაღაფშს მხარდაჭერილ კონკურენტებთან შეჯახება მოუწევს 8

## ზურაბ ნოღაიდელი მედიის უფლებებს იცავს 2

## როგორი იქნება 7 ნოემბერი ამჯერად? 2

## ფინანსური დახმარებები მოდის, დევნილს 9



## კი მაინც უსაშველოდ უჭირს



პოლიტპატიმარი, აკადემიკოსი ვლადიმერ ვახანია სრულიად საქართველოს:

## ჩვენი მდიდარი ერის დამონება დაუშვებელია!

## გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!

გაითვალისწინეთ!

## მაგნიტური დღეები ნოემბერში 12

◎ აქცია

# როგორი იქნება 7 ნოემბერი ამჯერად?

## საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა სამოქმედო გეგმა გამოაქვეყნეს

**როგორც მოსალოდნელი იყო, არც ეს 7 ნოემბერი ჩაივლის უხმაუროდ. 2007 წლის შემოდგომაზე განვითარებულ მოვლენებს ქართული საზოგადოება ჯერ არ ივიწყებს და ამ თარიღის ალსანიშნავად სერიოზულად ემზადება.**

ოპოზიციურ პარტიებს საპროტესტო აქციები სექტემბერში უნდა დაეწყოთ, მაგრამ ამ თარიღმა ახლა 7 ნოემბრამდე გადაიწია. როგორ აღნიშნავენ ისინი ამ დღეს ჯერ არ არის ცნობილი, მაგრამ სამოქალაქო საზოგადოებამ „7 ნოემბრის საპროტესტო მარშის საორგანიზაციო ჯგუფმა" მათ დაასწრო და გუშინ ტელეკომპანია „იმედის" წინ გამართულ აქციაზე 7 ნოემბრის აღსანიშნავი კონკრეტული გეგმა გამოაქვეყნა.



აქციას მოძრაობა „7 ნოემბერი" ხელმძღვანელობდა, თუმცა იქ იყვნენ „დაიცავი საქართველოს" წევრებიც, „ქართული აკადემიაც", ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი", „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" და კიდევ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია.

როგორც მოძრაობა „7 ნოემბრის" ლიდერმა **ჯაბა ჯიშკარიანმა** განაცხადა: **„2007 წლის 7 ნოემბრის ორი წლის თავზე, სამწუხაროდ, კვლავ დღის წესრიგში დგას ის სამართლიანი მოთხოვნები, რომელთა გამოც ხელისუფლება საკუთარ მოსახლეობას უმოწყალოდ გაუსწორდა. მეტიც, ორი წლის განმავლობაში აღნიშნულ მოთხოვნათა სია საგრძნობლად გაიზარდა. ეს სამწუხარო გარემოება კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ ხელისუფლება კვლავ არ არის მზად, უარი თქვას ავტორიტარულ კურსზე.**

**სწორედ ამიტომ, 2009 წლის 7 ნოემბერს სამოქალაქო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით გაიმართება მოქალაქეების საპროტესტო მსვლელობა. საპროტესტო მარში 15 საათზე საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან დაიწყება და შემდგომ პარლამენტის შენობის მიმართულებით დაიძრება. პარლამენტის შენობის წინ მანიფესტანტები საერთო სამოქალაქო პროტესტს გამოთქვამენ და ხელისუფლებას სამპუნქტიან რეზოლუციას გაუგზავნიან: გაათავისუფლონ პოლიტპატიმრები და მოითხოვენ თავისუფალ სასამართლოსა და მედიას, ასევე ობიექტურ საარჩევნო კანონს. აქციის დასასრულს ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში ქვეყნის გამთლიანებისთვის პარაკლისი გაიმართება".**

ყოფილი პოლიტპატიმარი **ნანა კაკაბაძე** ამბობს, რომ ამ აქციის წარმართველი ძალა საზოგადოება იქნება, თუმცა მას შემოუერთდებიან პოლიტიკური პარტიებიც. 7 ნოემბრამდე გავრცელდება მიმართვები, როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოებისთვის, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, რომელიც ტელევიზიით გამოქვეყნდება. საპროტესტო აქცია მხოლოდ ერთდღიანია, მაგრამ მანამდე გამოიცემა ბუკლეტები და გაზეთი, რომელიც 7 ნოემბერს მიექძვნება.

**ქართული აკადემიის წევრებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოს ისტორიაში არის თარიღები, რომელიც საჭიროა აღინიშნოს ქართველი ხალხის ერთად დგომით. მათ შორის არის 7 ნოემბერიც. ამ დღეს ყველა, ვისაც მიაჩნია, რომ მისი უფლებები ილახება, ვალდებულია იყოს ერთად და ხმამაღლა თქვას – არა ძალადობას!**

**თეა მოსია**

◎ პრესკონფერენცია

# ზურაბ ნოღაიდელი მედიის უფლებებს იცავს

**რამდენიმე დღეა საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად გვხვდება ინფორმაცია აჭარის „ტელეარხი 25"-ის გარშემო შექმნილი პრობლემების შესახებ. „ტელეარხ 25"-ს აუქციონზე გაყიდვის საფრთხე ემუქრება, მაგრამ ხელისუფლება იძულებული გახდა ყადაღა მოეხსნა და სამაუწყებლო კომპანია გაყიდვას გადაურჩა.**



„ტელეარხ 25"-ის ყადაღის მოხსნის თაობაზე პრესკონფერენცია გამართა მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერმა ზურაბ ნოღაიდელმა. მოძრაობის ინიციატივით და ორგანიზებით ოქტომბერში სამაუწყებლო კომპანიის მხარდამჭერი რამდენიმე აქცია ჩატარდა. ზურაბ ნოღაიდელის პოლიტიკური თანამებრძოლები სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ერთად ხელისუფლების განზრახვას აპროტესტებდნენ, რომ ხელოვნურად თავსმოხვეულ ფინანსურ პრობლემებზე აპელირებით სამაუწყებლო კომპანიის ქონება აუქციონზე გაყიდულიყო.

ოპოზიციის აქციებით ბრძოლამ, როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო და როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ტელეარხს ყადაღა მოეხსნა. ეს ოპოზიციაში ჩართული ზურაბ ნოღაიდელის კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯია...

მიუხედავად ამისა, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" მიიჩნევს, რომ სამართლიანობა ბოლომდე დაცული არ არის. მისი განცხადებით, ასეთი განწყობის საფუძველს იძლევა თუნდაც თავად სამაუწყებლო კომპანია „ტელეარხ 25"-ის ხელმძღვანელობის პოზიცია. როგორც ისინი ამბობენ, მათ არანაირი ვალი არ აქვთ და არხის „დავალიანების" გამო გაყიდვა სრული აბსურდია.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის" ლიდერმა ზურაბ ნოღაიდელმა პრესკონფერენციის ბოლოს ჟურნალისტებს 7 ნოემბრის მოახლოებასთან დაკავშირებით მოძრაობის გეგმები გააცნო: აუცილებლად მიიღებენ 7 ნოემბრის აქციაში მონაწილეობას. ეს თარიღი ყველასთვის მნიშვნელოვანი დღეა და მოძრაობა სოლიდარობის ნიშნად აუცილებლად შეუერთდება შეკრებილებს. არ არის გამორიცხული, რომ ნოღაიდელმა საზოგადოებას სიტყვით მიმართოს.

**ხატია მუსერიძე**

◎ ინფორმაცია

## საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ევროკავშირის ხელშეკრულება



**ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მედვედევ-სარკოზის ხელშეკრულების შესრულებისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებს.**

მისი თქმით, ევროკავშირს რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავება სურს, თუმცა მოსკოვმა უნდა გააცნობიეროს, რომ საქართველო და უკრაინა ამ ორგანიზაციის მეგობარი ქვეყნები არიან.

ამასთან, უშაცკასი მიიჩნევს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა რუსეთსა და ევროკავშირს შორის ახალ ხელშეკრულებაშიც უნდა იყოს დაცული.

– მნიშვნელოვანია, რომ ყველა ქვეყანამ შეასრულოს შეთანხმება. ეს ეხება ევროპის უსაფრთხოების თაობაზე რუსეთის წინადადებასაც. სახელმწიფოების, მათ შორის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა კი არის უსაფრთხოების ერთ-ერთი პრინციპი, – აცხადებს უშაცკასი.

## დაკავებული ქართველები გაათავისუფლეს

**გალის რაიონის ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან დაკავებული ორი ქართველი გათავისუფლებულია.**

ავთანდილ თორია და ლევან შარია ჯარიმის გადახდის შემდეგ, გუშინ დილით გაათავისუფლეს.

შეგახსენებთ, რომ ქართველები რუსმა მესაზღვრეებმა საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით მაშინ დააკავეს, როცა ისინი შემოვლითი გზით ზუგდიდის რაიონში თხილის გადმოტანას ცდილობდნენ.

## საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში უკანონოა

**სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი პიტერ სემნები აფხაზეთში მოახლოებულ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებს უკანონოდ აფასებს.**

– ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები არ ტარდება იმ კონსტიტუციურ ფარგლებში, რომელსაც ჩვენ ვაღიარებთ, – განაცხადა სემნებიმ „ვრემია ნოვოსტეისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მისივე განმარტებით, „ევროკავშირის პოლიტიკა ორი ნაწილისგან შედგება: პირველი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის არაღიარებას გულისხმობს, მეორე კი, კონტაქტების დამყარებას ყველა მხარესთან".



რაც შეეხება სეპარატისტული რესპუბლიკების და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთობას, სემნებიმ აღნიშნა, რომ „ყველაზე მნიშვნელოვანი დაპირისპირებულ მხარეებს შორის სხვადასხვა დონეზე კონტაქტების დამყარებაა".

## ანდრიაძე პირდაპირ ეთერში დებატებს ითხოვს

**ქართული ტელემაუწყებლობა „ივერიის" ხელმძღვანელი გიორგი ანდრიაძე საზოგადოებრივ არხისგან პირდაპირ ეთერში დებატებს ითხოვს.**



– ილია მეორის შეურაცხმყოფელი და უხამსი ვიდეორგოლების ინტერნეტით გავრცელების ფაქტზე, პროკურატურაში დაწყებული გამოძიება და ვიღაცების დაკავება სააკაშვილის მორიგი პიარ-აქციაა", – აცხადებს გიორგი ანდრიაძე.

მისივე თქმით, თეა თუთბერიძე რომ ყვირის „ეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტით გარანტირებული უფლებააო" – მე რომ მაგისმა ფაშისტურმა ხელისუფლებამ ერთი წელია ტელევიზია „ივერია" დამიხურა, ნეტავ ეგ რაღა არის?" – აცხადებს ანდრიაძე.

მისი აზრით, საზოგადოებრივ არხზე გასამართი პირდაპირი ეთერის ჩაშლაც სააკაშვილის მორიგი ხრიკი უნდა იყოს.

– მე, როგორც ამ დებატების ერთ-ერთი მონაწილე, ამ არხისგან პირადად ვითხოვ პირდაპირი ეთერის დაბრუნებას, – განაცხადა ანდრიაძემ.

## გურიის პროდუქტები მიუნხენში

**25-29 ნოემბერს, გერმანიის ქალაქ მიუნხენში დაგეგმილ საკვები პროდუქტების გამოფენაზე, საქართველოდან გურიის რეგიონი იქნება წარმოდგენილი.**

როგორც გურიის აგრო-ბიზნესცენტრის ხელმძღვანელმა ალეკო მამეიშვილმა განაცხადა, გურიამ შარშან ბალტიისპირეთში გამართულ საერთაშორისო გამოფენაშიც მიიღო მონაწილეობა და წლევანდელ გამოფენაშიც აქტიურად იქნება წარმოდგენილი.

ალეკო მამეიშვილის განცხადებით, გამოფენის ფარგლებში ასევე იგეგმება საქმიანი ხელშეკრულებების გაფორმება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

კვირის სარკეში

# შეგუებულები და შეურიგებლები

***გასული კვირის გმირის დაფნის გვირგვინი სავსებით დამსახურებულად ერგო თავისთავისაც კი მოულოდნელად გაოპოზიციონერებულ ზურაბ ნოღაიდელს. ამაში დიდია თავად ნოღაიდელის დამსახურება და არანაკლები — ხელისუფლებისა***

## ჯერ შეურიგებლებზე

**საერთოდ, ქალები, მამაკაცებთან შედარებით, რისკიან გადაწყვეტილებებს უფრო სწრაფად და იოლად რომ იღებენ, ცნობილი ამბავია. ახლაც ასე მოხდა — სანამ ჩვენი ათას ქარცეცხლში ნაწრთობი მამაცი ოპოზიციონერი მამაკაცების ერთი სოლიდური ნაწილი ბჭობდა, ნინო ბურჯანაძემ, სალომე ზურაბიშვილმა, ეკა ბესელიამ და „ფორუმელმა“ ბიჭებმა საბრძოლო დროშები გაშალეს. ჩემდა სამარცხვინოდ, გუგული მაღრაძის და მისი გოგოების (ქალთა პარტიის) თაობაზე ვერაფერს გეტყვით.**

სიმპათიურ „ფორუმელ“ ბატონებთან ბოდიშს კი მოვიხდი, მაგრამ მებრძოლი ოპოზიციის აშკარა არაფორმალური ლიდერი დღეს ქალბატონი ნინო ბურჯანაძეა. მე თუ მკითხავთ, მან, „მიშისტური“ წარსულის მიუხედავად, საკუთარი ნიჭის, სიმამაცისა და უკომპრომისობის წყალობით, ლიდერის ყვითელი მოსასხამი ალალად დაიმსახურა.

**სხვათა შორის, რაც უფრო სწრაფად და გულწრფელად აღიარებენ ამას მისი პოლიტიკური მტერ-მოყვარენი, მით უკეთესი ოპოზიციური მოძრაობისა და, საერთოდ, ქვეყნის პოლიტიკური კულტურისთვის.**

უკვე მესმის უკიდურესად აღშფოთებული მარჩენალ-ლეიბორისტების მრისხანე გუგუნი — მაშ, ჩვენს შალვას რაღაო?! შალვა შალვაა, ბატონებო. იგი ოპოზიციაზეც მაღლა დგას და ხელისუფლებაზეც. დიდი გალაკტიონი ხომ გახსოვთ: „ვდგევარ მთაზე, ვდგევარ ერთი, ვდგევარ მარტო, ვდგევარ ობლად...“

**შალვას ადგილი იალბუზზეა. იქიდან სამყარო უფრო კარგად გამოჩნდება, ვიდრე ნინოშვილის ქუჩიდან ჩანს.**

შეურიგებელთა ღრმა რწმენით, სააკაშვილის ხელისუფლებასთან დიალოგს, რაიმენაირ გარიგებას, მის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობას არავითარი აზრი არა აქვს. ვწუხვარ, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლების ქმედებებზე ზერელე დაკვირვებიდანაც კი მხოლოდ ამ დასკვნის გამოტანა შეიძლება. ამიტომ ქალბატონი და ბატონი შეურიგებლები ხელისუფლების ჩამოგდებას თუ არა, შეზანზარებას მაინც, ისევ ქუჩის აქციებით, ფართო მასების მონაწილეობით, რევოლუციური მოწოდებებით აპირებენ.

სასიამოვნოა, რომ ბურჯანაძის პარტიამ გასულ კვირაში საზოგადოებას განსასჯელად წარუდგინა ავტორიტეტული ექსპერტების ძალისხმევით შექმნილი „ქვეყნის უსაფრთხოების კონცეფცია“. ამ დოკუმენტის პრეზენტაციაზე ისიც ითქვა, რომ უახლოეს მომავალში პარტია საჯარო განხილვისთვის სხვა სტრატეგიული მიმართულებების კონცეფციებსაც გამოიტანს.

## ცოტა რამ შეგუებულებზე

**ისინი, ტრადიციულად, მრავლად არიან და ნებისმიერი დონის არჩევნების მოახლოებასთან ერთად, კიდევ უფრო მრავლდებიან. მიზეზების ახსნა, ალბათ, არ ღირს. ჩვენ, საბრალო ამომრჩევლებს, არაფერი აღარ გვიკვირს — ოპოზიციიდან ხელისუფლებას მიტმასნილიც ბევრი გვინახავს და ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადასულიც; მუდმივ გადარბენ-გადმორბენაზე რომ არიან, ისეთებიც.**

თუ საქმე ახლად შეგუებულებზე მიდგება, მათ შორის ისინი უნდა ვიგულისხმოთ, ვინც ხელისუფლების მიერ დაგეგმილ ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებში მონაწილეობას დათანხმდა. არ ვამტკიცებ, რომ მათი არგუმენტები უსაფუძვლოა და მათი გადაწყვეტილება — გაკიცხვის ღირსი. იმის თქმაც ძნელია, თუნდაც საძულველ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა სჯობს, თუ მუდმივი კონფრონტაცია. დღევანდელ ქართულ ხელისუფლებას ვგულისხმობ, თორემ რომელიმე ევროპულ ქვეყანაში ერთიც კეთილშობილური საქმეა და მეორეც.

მართალი გითხრათ, კოკო გამსახურდიას გადაწყვეტილება პარლამენტში შესვლაზე არ გამკვირვებია. ის უფრო მიკვირდა, აქამდე რომ მოითმინა — დეპუტატობა მისთვის პოლიტიკური კარიერის მწვერვალია. ისე, ცოტა უცნაური კია: ერთი ძმა გამსახურდია საპარლამენტო ოპოზიციაში, მეორე — პოლიციაში, მესამე — ციხეში, ზვიად გამსახურდიას მეუღლე მანანა—„კანონიერი მთავრობის“ სათავეში!

არც დეპუტატ გია ცაგარეიშვილისა მიკვირს, „ალიანსთან“ ალიანსი რომ მოინდომა და არც აკაკი ასათიანისა, ოპოზიციის სახელით არაფრის მაქნისი უშიშროების საბჭოს საჩვენებელ სხდომებში რომ მონაწილეობს — ამ ადამიანებს და კიდევ ბევრ სხვას მზის ქვეშ ადგილის გამოძებნის, საკუთარი თავისთვის მნიშვნელობის მინიჭების ერთადერთი სურვილი ამოძრავებთ.

ეს არის და ეს.

## უცნაური წყვილი

**ზურაბ ნოღაიდელის საქციელმა მართლაც გამაოცა. იმან კი არა, არჩევნებში მონაწილეობა რომ გადაწყვიტა, არც იმან, რუსეთში სავარაუდო პარტნიორებს რომ ეძებს — იმან გამაოცა, პარტნიორად ავად ცნობილი ლოთი ქობალია რომ აირჩია.**

თავისი ეს გადაწყვეტილება ნოღაიდელმა გასულ კვირაში ახსნა კიდეც. ყოველ შემთხვევაში, შეეცადა აეხსნა: ერის გამთლიანების, ეროვნული თანხმობის სურვილი მამოძრავებდაო. ოქრო სიტყვებია, ოღონდ, სიცრუეა.

ბატონი ლოთი ქობალია, თავისი წარსულის გამო, თავისი რეპუტაციის გამო, არც ახლა და არც ოდესმე მომავალში



„ერის გამთლიანებლად“, ავტორიტეტად არ გამოდგება. მაშინაც კი არ გამოდგება, მასზე წაყენებული უმძიმესი ბრალდებები ტყუილიც რომ აღმოჩნდეს.

თხუთმეტ წელიწადზე მეტია, ეს კაცი მკვლელის დამღას ატარებს. ეს მარადიული დამღაა. ვიმეორებ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მკვლელობებში მისი მონაწილეობა ოფიციალურად არ დადასტურდება.

ახლა, რაც შეეხება ერის გამთლიანებას.

**ჯერ ერთი, მიმიფურთხებია იმ ერისთვის, რომელიც ქობალიასნაირების ირგვლივ გაერთიანდება; მეორეც, სამეგრელოს და დანარჩენ საქართველოს არც ქობალიას და არც ნოღაიდელის გასაერთიანებელი არაფერი არ სჭირს; და მესამეც, სამეგრელოს მოსახლეობასთან სალაპარაკოდ ლოთი ქობალიას არჩევა არის ამ ხალხის უმძიმესი შეურაცხყოფა. სხვათა შორის — მთელი საქართველოსიც! პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონე ზურაბ ნოღაიდელმა ამდენი უნდა იცოდეს.**

პარტიის ლიდერი ნოღაიდელი, ეტყობა, სამეგრელოში ქობალიაზე უკეთეს კაცებს არ იცნობს, ან ის უკეთესები არ ენდობიან ნოღაიდელს. ასეა თუ ისე, ბატონ ზურაბს მოუწევს თავისი ამ გადაწყვეტილების უფრო დამაჯერებლად ახსნა, ან საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დაოკება.

ამის შემყურე სააკაშვილი კი „იცინის, იცინის, კვდება სიცილით“, დაუპატიჟებელ ვიზიტებზე დაჰქრის, ბიუჯეტის ფულით საკუთარ თავზე ფილმებს იღებს და გამალებით ემზადება ადგილობრივ არჩევნებში ტრიუმფული გამარჯვების აღსანიშნავად.

## ზოგიერთი „წვრილმანი“

**გასულ კვირაში გრძელდებოდა მწვავე დებატები კოდური სახელწოდებით „დავიცვათ მართლმადიდებლობა“. პრობლემა მართლაც უაღრესად ფაქიზი და საჭირბოროტოა. ჯერჯერობით, ძნელი გასარკვევია, ვისი ხელყოფისგან ვიცავთ, ვინ ვიცავთ და აუცილებელია თუ არა, საერთოდ, ამ თავდაცვითი „ომების“ წარმოება.**

იქნებ ვცდები კიდეც, მაგრამ მეჩვენება, რომ ამ კეთილშობილური მიზნით წამოწყებულმა კამპანიამ თანდათან მახინჯი ფორმები მიიღო — მისი ინსპირატორების კარნახს აჰყვა. უკვე მომაბეზრებელი, უსაგნო და სასაცილოც კია იმის გაუთავებელი მტკიცება, რომ ვიღაც უვიცი და თავხედი კმარელი გოგო არის უვიცი, თავხედი და კმარელი, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია არ არის რუსეთის სადაზვერვო სამსახურის ქვედანაყოფი, ხოლო მისი უწმინდესობა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი — პოლიტიკური ხვანჯების შემოქმედი!

**განსაკუთრებით საშიშ (მართლმადიდებელი ეკლესიისა და, ზოგადად, ქართული სახელმწიფოებრიობისთვის!) ფორმებს იღებს ეგრეთ წოდებული „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ მოქმედება. იგი სულ უფრო ემსგავსება XV-XVI საუკუნეების ესპანურ ინკვიზიციას, რომელმაც, სხვათა შორის, თავისი მოღვაწეობა ქრისტიანული მორალის დაცვის უკეთილშობილესი განზრახვით დაიწყო.**

გავბედავ და ვიტყვი, რომ ამ აგრესიული, აშკარად ანტიქრისტიანული ორგანიზაციის ნამდვილი ზრახვებისა და ქმედებების შესწავლა, ვერდიქტის გამოტანაც, უპირველეს ყოვლისა, საპატრიარქოს პრეროგატივაა, ვინაიდან „მშობლები“ მოქმედებენ ეკლესიის სახელით და სახელს უტეხენ დედაეკლესიას.

ხვალ გვიან იქნება.

**თეიმურაზ ქორიძე.**

დღეს — ხვალისთვის



# „არავითარ შემთხვევაში არ განვმეორდებით!“

***სააგენტო „პირველის“ ინტერვიუ პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერთან სალომე ზურაბიშვილთან***

**— 7 ნოემბერს არასაპარლამენტო ოპოზიცია იკრიბება, რათა წარმოადგინოს პრეზიდენტ სააკაშვილის 6-წლიანი მმართველობის საკუთარი შეფასება. თქვენი პარტია რაზე გააკეთებს საკუთარ დასკვნაში აქცენტს?**

— ძალზე მნიშვნელოვანია, ჩვენი ხედვა იმისა, თუ როგორ ვაფასებთ 6 წლის განმავლობაში განხორციელებულ, პირდაპირ ვიტყოდი, ქვეყნის ნგრევას და ეკონომიკის დაქცევას, განსაკუთრებით - ბოლო პერიოდში, დოკუმენტურად იყოს დასაბუთებული. ეს დოკუმენტები ითარგმნა სხვადასხვა ენაზე, რათა შემდგომ გავიტანოთ ქვეყნის გარეთ. ჩვენი პარტიის მიერ მომზადებული დასკვნა მოიცავს მთელს ამ პერიოდს, იმას, თუ რა შანსები გავუშვით ხელიდან, იმას, თუ რა მოუტანა ბოლო პერიოდში 100-დღიანმა პროტესტმა ქვეყანას, ხელისუფლებას და ოპოზიციას... ზაფხულის აქციებმა შედეგად ხელისუფლების ყველა მიმართულებით გაჩერება გამოიღო, თუმცა მხოლოდ დროებით და აქციების დასრულებისთანავე კვლავ დაიწყო მმართველი რეჟიმის თავზეხელაღებული ქმედებები. ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ხელისუფლების ნდობა და ნებაზე მიშვება არ შეიძლება. ეს ნათელია და ჩვენი დასკვნიდანაც გამოჩნდება, რომ ხელისუფლება ნებაზე მიშვების შემთხვევაში აძლიერებს ქმედებებს, რომლებსაც ქვეყანა უკუსვლით მიჰყავს. დღეს საქართველოს პრობლემა არა დემოკრატიული განვითარების და სახელმწიფოს შენების ტემპია, არამედ ის, რომ ხელახლა მივდივართ საბჭოთა სისტემისკენ.

**— თქვენს გარდა, კიდევ რომელი ოპოზიციური პარტია აპირებს დასკვნის მომზადებას?**

— შესაბამისი ინიციატივით მივმართეთ ყველა ოპოზიციურ პარტიას, რომელთაგან 80 პროცენტმა თანხმობა უკვე მოგვცა. ორი პარტია ჯერჯერობით უარს ამბობს დასკვნის დადებაზე. როგორც გითხარით, ყველას გადავუგზავნეთ მიმართვა და საბოლოო პასუხებს ჯერ კიდევ ველით.

**— მიმდინარე წლის 7 ნოემბერს თქვენი ინიციატივით, 2007 წლის 7 ნოემბრისადმი მიძღვნილი აქციაა დაგეგმილი. რა ტიპის აქციის გამართვას გეგმავთ?**

— 2007 წლის 7 ნოემბერი ისტორიაში ყველაზე მძიმე და მნიშვნელოვან თარიღად დარჩება. ჩემი აზრით, სწორედ იმ დღიდან იწყება ქვეყნის რადიკალური უკუსვლა ყველა მიმართულებით. ამდენად, 7 ნოემბერი არის წყალგამყოფი თარიღი ჩვენთვის და არ შეიძლება, იმ დღეს არ დავფიქრდეთ, რას ვაპირებთ, რა გზით უნდა ვიაროთ.... მეორე ნაწილი ღონისძიებისა ხალხთან ერთად ამ დღის აღნიშვნა და გახსენება იქნება. ალბათ, პარლამენტთან შევიკრიბებით და შემდეგ მოეწყობა მსვლელობა, თუმცა დეტალები საბოლოოდ განსაზღვრული ჯერ არაა. ვიცი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებიც ამზადებენ რაღაცას და ეს იქნება ერთობლივი ღონისძიება. ეს არის დღე, როდესაც უნდა გამოხვიდე გარეთ და შენი პირადი პროტესტი დააფიქსირო, ასევე დღე — პასუხი ხელისუფლების ზერელე განცხადებებზე, თითქოს ჩვენ დავმარცხდით და მან გაიმარჯვა. ხელისუფლებამ ვერაფერი შესძლო გარდა იმისა, რომ პლაკატებზე დახატა, რომელ შენობას აშენებს, ან ააშენა, — ეს ძალიან უსუსური დემარშია! 7 ნოემბერი არის ასევე ნათელი მაგალითი იმისა, რომ ქვეყნის სათავეში ანტიეროვნული, ანტიდემოკრატიული ძალები არიან, რომლებიც უნდა დავამარცხოთ და ამას მხოლოდ ხალხთან ერთად გავაკეთებთ. ჩვენ გვინდა, დავაფიქსიროთ, რომ აქ ვართ, არსად წავსულვართ და ჩვენი პროტესტი გრძელდება. შემდეგ უკვე განვსაზღვრავთ, რა ფორმებს მიიღებს ეს პროტესტი და მე ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრებები მაქვს.

**— ამავდროულად, ნოემბრის დასაწყისში სხვა არასაპარლამენტო ოპოზიციური ძალები აქციების განახლებას გეგმავენ. უცხოეთიდან ჩამოსვლისთანავე თქვენ მათთან კონსულტაციები დაიწყეთ. რა კონკრეტული გეგმებია სადღეისოდ ოპოზიციაში?**

— არავითარ შემთხვევაში არ განვმეორდებით! — ამაზე საუბრობს ის, ვისაც ოპოზიცია სხვა სიტუაციაში ვერ წარმოუდგენია. საუბარი პერმანენტულ აქციებზე სახელისუფლებო წრეებიდან მოდის, რათა შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს მხოლოდ ამას ვაკეთებთ და სხვა არაფერი შეგვიძლია. მერწმუნეთ, დღეს სხვა სიტუაციაა! მაშინ პერმანენტული აქციები აუცილებელი იყო, ხოლო ის, რაც გაკეთდა — წარმატებული, რადგან შიშველი ხელებით გავიმარჯვეთ ხელისუფლებაზე.

იხ. 4 გვ.

## დღეს — ხვალისთვის

# „არავითარ შემთხვევაში არ განვმეორდებით!“

(მესამე გვერდიდან)

**— თუმცა ეს იყო მხოლოდ დროებით, ქალბატონო სალომე...**

— დიახ, ეს იყო დროებით, რადგან შიშველი ხელებით ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ ვაჩვენეთ ჩვენს თავს და ყველას, რისი გაკეთება შეგვიძლია სწორედ შიშველი ხელებით, მშვიდობიანად და ყველანაირი ფულადი თუ სხვა დახმარების გარეშე. ახლა ვნახოთ, რას ვიზამთ, როცა მივიღებთ უფრო მეტ დახმარებას.

**— რა სახის დახმარებას გულისხმობთ კონკრეტულად?**

— ხელისუფლებამ იმდენად გაიშიშვლა თავი, რომ დღეს ქვეყნის გარედან ბევრად მეტი გაგება აა ჩვენი პოზიციებისა და შესაბამისად, ბევრად მეტ მხარდაჭერას შეიძლება, ველოდოთ. მე გახლდით ევროპაში და მინდა, გითხრათ, რომ დღეს უფრო კარგ სიტუაციაში ვართ, ვიდრე ივნისში ვიყავით. სწორედ ამიტომ უნდა დავიწყოთ ახალი ეტაპი, ახალი ტალღა და არა იგივე გავიმეოროთ. მაშინ საუბარი იყო ჩვენი და ხელისუფლების ძალების „მოსინჯვაზე“, რაც განვახორციელეთ კიდეც. რაც შეეხება ახალ ეტაპს, ხელისუფლება ამბობს, რომ ოპოზიცია ორად არის გაყოფილი, თუმცა კვაზიტოტალურ სისტემასთან ბრძოლაში შეუძლებელია, იბრძოლო მხოლოდ მოლაპარაკებების ან მხოლოდ ქუჩის გზით. თუ ეს ორი გზა გადაჯაჭვული არაა, ცალცალკე მიზნამდე ვერც ერთი ვერ მიგვიყვანს. ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ სტატიებით, შეხვედრებით ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, აქციებით და, რა თქმა უნდა, არჩევნებითაც, რადგან მე ჯერ არავინ მინახავს, ვინც ამ გზას ასცილებია.

**— ანუ ადასტურებთ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციაში ორი ფრთა არსებობს?**

— არა, არ ვადასტურებ: იქ ორი კი არა, ათი და შეიძლება, მეტი ფრთაც არის. რამდენი პარტიაცაა, იმდენი განსხვავებული ხედვაა წარსულის და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მივიდეთ შედეგამდე. მაგრამ საინტერესო უფრო ისაა, რა გვაქვს საერთო: ესაა მთავარი და უცვლელი მოთხოვნა, რომ ქვეყნისთვის მავნებელი ხელისუფლება წავიდეს, ამასთან, წავიდეს არჩევნების გზით და ამისთვის ერთად უნდა ვიბრძოლოთ. ეს სამი კომპონენტი გვაერთიანებს ყველას, თუმცა ცხადია, რომ ვართ სხვადასხვა ადამიანები, — ეს რომ არ ყოფილიყო, დიდი ხანია, ერთ პარტიაში ვიქნებოდით, რაც კატასტროფა იქნებოდა სახელმწიფოსთვის. ამ ქვეყანას ყველაფერს ვუსურვებ, გარდა კიდევ ერთი მონოპოლისტი პარტიისა.

**— გეთანხმებით, მაგრამ ხომ არ მიგაჩნიათ, რომ საკმაოდ დაბალი რეიტინგის მქონე 10 ოპოზიციური პარტია მეტისმეტია პატარა ქვეყნისათვის?**

— დიახ, გეთანხმებით, არც 10 პარტია გვჭირდება. არჩევნებზე ისინი ალბათ, „ჩამოიწურებიან“ კიდეც, რადგან არსებობს 4-5 პარტია, რომელსაც რეალურად შეუძლია საარჩევნო ბარიერის გადალახვა. ჩვენ გვჭირდება ეს 5 პარტია მომავალში, როდესაც ხელისუფლება შეიცვლება და ამაზე ვმუშაობთ კიდეც. ამ ორ წელიწადში ჩხუბით, ყვირილით, მშვიდად თუ კარის ბრახუნით, ერთმანეთის მოსმენა ვისწავლეთ და დღეს შეგვიძლია, დავსხდეთ და ხელისუფლების უკანონო ქმედებების შესახებ დასკვნა დავდოთ, - ჩემთვის ესაა მთავარი. სანამ თქვენ იტყვით, მე თვითონ ვიტყვი, რომ ეს ოპოზიცია სუსტია და არ არის იდეალური, ისეთი, როგორიც მინდა, დავინახო ამ ქვეყანაში, მაგრამ რაც არის, ეს არის და მიხარია, რომ მეტ-ნაკლებად ერთმანეთთან ურთიერთობა ვისწავლეთ. ეს ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანია, რათა მომდევნო, არჩევნების გზით მოსული მთავრობა იყოს კოალიციური, - ამის გარეშე კრიზისიდან ვერ გამოვალთ!

**— ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ხომ არ ფიქრობთ, რომ მოვიდა დრო, ოპოზიციაში შიდა „ფილტრაცია“ განხორციელდეს? — ვგულისხმობ გარკვეული პერსონების ოპოზიციისგან გამიჯვნას...**

— დიახ, ამის დრო ნამდვილად არის, მაგრამ ამის ერთადერთი საშუალება, რაც დედამიწის ზურგზე არსებობს, არჩევნებია. ხალხმა უნდა დაინახოს, ვინ როგორ იქცევა, ვინ რას აკეთებს რეალურად და მგონი, ამ კუთხით ზაფხულის აქციები მნიშვნელოვანი იყო, რადგან ეს, სხვა ყველაფერთან ერთად, გამოუცხადებელი საარჩევნო კამპანია იყო. ვფიქრობ, ამ ფონზე ხვალინდელი არჩევანი ხალხისთვის საკმაოდ მარტივი უნდა იყოს.

**— განსხვავებული პოზიციების მქონე ოპოზიციურ ფრთებს შორის თქვენს ადგილს სად ხედავთ?**

— არც ერთი ის პოზიცია, რომელიც დღეს ოპოზიციურ სპექტრში ფიქსირდება, ჩემთვის პრობლემური და მიუღებელი არაა, ყველას ვუჭერ მხარს. მხარს ვუჭერ ირაკლი ალასანიას მერის არჩევნებში და საარჩევნო სისტემაზე მუშაობაში და ჩემი მანდატი იქ არის; ასევე დავუჭერ მხარს ქუჩის აქციებს. ამასთან, ვფიქრობ, რომ უნდა ვიბრძოლოთ მედიის საშუალებითაც, ასევე საზღვარგარეთ. ვიყავი ევროპაში და ნოემბერში ვაპირებ ამერიკაში ჩასვლას, სადაც ჩვენი პოზიციების შეჯერებას და ზემოხსენებული ოპოზიციური დასკვნების ჩატანას ვგეგმავ.



**— კონკრეტულად ვისთან აპირებთ შეხვედრას შტატებში და რა საკითხების განხილვას გეგმავთ?**

— დაგეგმილია ორი კონფერენცია. ასევე მექნება შეხვედრები ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ზბიგნევ ბჟეზინსკისთან და ა.შ.

**— თქვენ ბრძანეთ, რომ აქციების დროს არ მუშაობდნენ სახელმწიფო სტრუქტურები, თუმცა აქციების დასრულების შემდეგ მათ განაგრძეს მუშაობა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთავარ შედეგს ვერ მიაღწიეთ... თქვენი აზრით, კონკრეტულად რა შეცდომები დაუშვა ოპოზიციურმა სპექტრმა აპრილის აქციების დროს და თუ მიდის ამ შეცდომების გადაფასება?**

— ჩემი შეფასებით, ერთადერთი რეალური წარუმატებლობა სწორედ ის იყო, რომ საბოლოო შედეგი არ მიგვიღია, ამდენად, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ აქციებმა ვერანაირი შედეგები ვერ გამოიღო. საბოლოო შედეგის მიღწევა გრძელვადიანი და რთული პროცესია და ამას ყოველდღე ვამბობდი აქციებზე გამოსვლისას. რა თქმა უნდა, ყველა ადამიანის ქმედებაში არის გარკვეული შეცდომა, თუმცა ოპოზიციის მიერ საკუთარი შეცდომების ყოველწუთს აფიშირება, ჩემი აზრით, არასწორი იქნებოდა იმ ფონზე, როცა ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს ამ 6 წლის განმავლობაში საკუთარი მცირედი შეცდომაც კი არ უღიარებია.

**— ასეა თუ ისე, ხალხი, რომელიც აქციებზე იდგა, გარკვეულწილად იმედგაცრუებული დარჩა... თქვენ ფიქრობთ, რომ ეს ხალხი ისევ გამოვა ქუჩაში?**

— ეს არ არის იმედგაცრუება, „იმედგაცრუება“ ხელისუფლების ტერმინია, პროპაგანდაა და მეტი არაფერი! აქციებზეც ვამბობდი და კიდევ გავიმეორებ, რომ ეს ბრძოლა გრძელვადიანია და ჩვენი მიზანია, ქვეყანაში არჩევნები დაინიშნოს. ამ წერტილში უნდა ვურტყათ დიდხანს, რადგან ტოტალური აზროვნების მქონე ეს ხელისუფლება თავისით არჩევნებს არ დანიშნავს. დარწმუნებული ვარ, თუ საჭირო გახდა, ხალხი ისევ გამოვა ქუჩაში, - მე ხალხის იმედი მაქვს! თუმცა კიდევ ვიმეორებ, რომ ამ ბრძოლაში მხოლოდ აქციები არ შედის: მე ისევ მივალ სააკაშვილთან, თუ კიდევ დაინიშნება შეხვედრა და იქ ვიტყვი ჩემს სათქმელს, მივალ სასამართლოში და დავიცავ უდანაშაულო ადამიანს, გავალ ქუჩაში, ასევე ვიბრძოლებ ბრიუსელში, ვაშინგტონსა და თბილისში...

**— ოპოზიცია ხშირად იმეორებს, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას ყველაზე რთული დრო დაუდგა, განსაკუთრებით — ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— ეს ხელისუფლება უკვე დამთავრებულია თავისი უნარით, ქვეყანა მართოს. ის ძალაუფლებას მხოლოდ ძალადობით და პროპაგანდით ინარჩუნებს, მაგრამ ერთადერთი რეჟიმი, რომლის ფიტულსაც მსგავს სიტუაციაში ქვეყნის ძალადობითა და პროპაგანდით მართვა დიდხანს შეეძლო, სტალინის რეჟიმი იყო, რომელიც ჩაკეტილ სისტემას წარმოადგენდა თავისი უზარმაზარი რესურსებით, ჩვენი ქვეყნისთვის კი იზოლაციაში დიდხანს ყოფნა შეუძლებელია. ამას გეუბნებით არა როგორც ოპოზიციის წარმომადგენელი, არამედ როგორც ადამიანი, რომელსაც საშუალება აქვს, გარედანაც ადევნოს თვალი მოვლენებს.

**— ამასთან დაკავშირებით მინდა, გკითხოთ, როგორ მოსჩანს საქართველო ევროპიდან?**

—პირველ რიგში, მინდა, ყველამ კარგად გაიგოს, რომ მე დავდივარ ევროპაში, რადგან იქ ვასწავლი, არანაირი რუსული ან სხვა ფულით არ ვფინანსდები და ამით ვცხოვრობ. შესაბამისად, ყოველი ჩემი ვიზიტი მაღალი დონის შეხვედრების გამართვას არ ითვალისწინებს. თუმცა ამჯერად ორ ძალზე სერიოზულ კონფერენციაზე გახლდით პარიზსა და ბრიუსელში. ჩემი ინტერესი ამ შემთხვევაში არის ის, რომ თუ ევროკავშირი საქართველოში დემოკრატიული პროცესების განვითარებით არის დაინტერესებული, გარკვეულწილად ამ საქმეში ოპოზიციაც უნდა იყოს ჩართული, რადგან თუ აქ რამე არასწორი ხდება, ამას არა ხელისუფლება, არამედ სწორედ ჩვენ ვიტყვით. მეორე თემა ტალიავინის კომისიის დასკვნა იყო და მასზეც მიმდინარეობდა მსჯელობა. მე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება, რომ დოკუმენტი ორივე — რუსულ და ქართულ ენაზე უნდა ითარგმნოს, რადგან ორივე მხარე დასკვნას სათავისოდ იყენებს, რათა საკუთარი მოსახლეობა საკუთარ უდანაშაულობაში დაარწმუნოს. ეს დოკუმენტი უნდა შევიდეს ჩვენს ისტორიაში, რათა მომავალში მისით ვისარგებლოთ, გამოვიყენოთ ის და მისი მეშვეობით გავიზარდოთ.

**— ოპოზიციური სპექტრის სხვა წარმომადგენლებმა რამდენად აქტიურად იმუშავეს აქციების დასრულების შემდეგ დღემდე საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად?**

— ამ შემთხვევაში არ არის საუბარი ოპოზიციის მხარდაჭერაზე, — ოპოზიციას მხარდაჭერა ქვეყნის შიგნით უნდა ჰქონდეს. უცხოეთი მხარს ქვეყანას უნდა უჭერდეს და სწორედ ეს მხარდაჭერა დავკარგეთ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში. თავიდან საქართველოს უჭერდნენ მხარს, შემდეგ სააკაშვილმა იმუშავა და მხარდაჭერა პიროვნულად მასზე გადავიდა. ახლა საჭიროა, დავუბრუნდეთ პირვანდელ სახეს, საერთაშორისო საზოგადოების დაკარგული ნდობა უნდა აღვიდგინოთ. თუმცა, რა თქმა უნდა, აქტიურად ვმუშაობთ იმაზე, რომ საზღვარგარეთ ოპოზიციას მოუსმინონ და ენდონ. ამაზე მომავალშიც ვიმუშავებთ. პრინციპში, ეს ნდობა უკვე მოვიპოვეთ და ამისთვის მადლობა სააკაშვილს! ამჯერად უცხოეთში ოპოზიციური პარტიების დასკვნებს ჩავიტანთ. ეს მათთვის იარაღი იქნება ჩვენი შეფასებისა და პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც ხშირად ისმის ხოლმე იმასთან დაკავშირებით, რამდენად სერიოზულად მუშაობს ოპოზიცია და რას აკეთებს ქუჩაში დგომის გარდა.

**— ჰოლივუდი საქართველოში რუსულ-ქართულ ომზე ფილმს იღებს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ფილმს გარკვეულწილად საქართველოს ხელისუფლება აფინანსებს... თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ გადაღებების მიმართ?**

— ფილმის გადაღება იმ ქვეყანაში, სადაც ომის იარები ჯერ კიდევ არ არის მოშუშებული, სირცხვილია. რაც შეეხება დაფინანსებას, მეც მსმენია, თითქოს ფილმი საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან ფინანსდება. მსგავსი ინფორმაცია ჯერჯერობით მხოლოდ ჭორის დონეზე ვრცელდება, თუმცა მართლაც საეჭვოა, რომ ფილმი ასე სწრაფად მომზადდა გადასაღებად. ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს, რა სისტემაა დღეს საქართველოში. ფილმს იღებენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ, ისტორია შეცვალონ და თავი გაიმართლონ. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ იქნება ფილმში რუსული მხარე წარმოდგენილი? ეს კიდევ უფრო დაგვაშორებს კონფლიქტების მოგვარების რეალურ გზებს.

**— საინტერესო იქნებოდა თქვენი, როგორც საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, როგორ უნდა მოგვარდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები... თუ არის შესაძლებელი ამ ქვეყანასთან ურთიერთობების დათბობა და რა გზით? როგორ უნდა დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები?**

— ყველაზე სასარგებლო და ხელსაყრელი რუსეთისთვის შიგნიდან დაშლილი საქართველოა, საქართველო, სადაც მოსახლეობა ალთასაა და ხელისუფლება — ბალთას, ასეთი საქართველო იდეალურია რუსეთისთვის. ჩვენი ხმა აღარსად ისმის და რეგიონში პრობლემებს მხოლოდ რუსეთი წყვეტს. ნუთუ ეს გვინდოდა და ეს არის გამარჯვება?! ჩვენ ჯერ საკუთარი თავი უნდა დავიბრუნოთ და მერე ვესაუბროთ რუსეთს. გახსოვთ ოდესმე, სააკაშვილის მმართველობის პირობებში, რუსეთი დაგვლაპარაკებოდა?! ის მე მელაპარაკებოდა, თუმცა ეს არ იყო ჩემთან საუბარი. მელაპარაკებოდა იმის გამო, რომ მაშინ საქართველო შიგნიდან ერთიანი, ძლიერი და თავის თავში დარწმუნებული იყო. დღეს კი ქვეყანაში არსებული სიტუაცია შეიძლება, ქუჩის ჩხუბს შეადარო. ჯერ ჩვენ უნდა შევიკრათ, დავწყნარდეთ და შემდეგ ველაპარაკოთ რუსეთს, თუმცა ამ სიტუაციაში ერთიერთზე არაა სასურველი. ამ პროცესში საერთაშორისო საზოგადოების ჩართვა ბევრად უფრო აუცილებელია, ვიდრე აქამდე. ამასთან, საჭიროა ჩვენი ინტერესების ჩამოყალიბება რეგიონთან მიმართებაში და მათი ინტერესების მოსმენა. სწორედ ამ ყველაფრის შემდეგ უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები რუსეთთან.

**ლევან სულაშვილი**

## ფრთხილად, სექტაა!

### დაპირისპირება მოსახლეობასა და იელოველებს შორის

**ზუგდიდში მცხოვრებმა იელოველებმა საქართველოს სახალხო დამცველს გიორგი ტუღუშს უფლებების შელახვის გამო წერილი გაუგზავნეს. არა და, ვითარება სულ სხვაგვარია: უფლებების შელახვა კი არა, ისე გათამამდნენ, მოსახლეობა მათთან შეწინააღმდეგებასაც ვერ ბედავს.**

შევარდნაძის ე. წ. არადემოკრატიულ ხელისუფლებას იელოველები არც რეგისტრაციაში გაუტარებია და არც კონგრესის ჩატარების, არც შტაბ-ბინის მშენებლობის უფლება მიუცია. ყველა ზუგდიდელს ახსოვს ამ 7-8 წლის წინათ ზუგდიდის რაიონის სოფელ ნაწულუკუში მოსახლეობის მიერ იელოველების განდევნის ფაქტი, რომელთაც კონგრესის ჩატარება სურდათ. მოსახლეობას მაშინ სამართალდამცველებიც დაუდგნენ გვერდით. ახლა კი ყველაფერი პირიქითაა — „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იმავე ნაწულუკუში იელოველთა გრანდიოზული კონგრესი ჩატარდა. წესრიგს პოლიცია იცავდა. იელოველებმა რაც ვერ გადებეს და რასაც ვერ ბედავდნენ წინა ხელისუფლების პერიოდში, ახლა თავიანთ იდეებს ფრთები შეასხეს. მოსახლეობა ვერ ბედავს შეწინააღმდეგებას, რადგან იციან, რომ „არადემოკრატიული საქციელის“ გამო დაისჯებიან.

ახალი კონფლიქტი მწიფდება იელოველებსა და მოსახლეობას შორის ზუგდიდის ენგურქაღალდკომბინატის დასახლებაში. იქ, სადაც დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია შენდება, მიმდებარე ტერიტორიაზე იელოველებმა შეისყიდეს სახლი, რომელშიც სურთ თავიანთი შტაბ-ბინა მოაწყონ, შეიკრიბონ და ათასგვარი სისაძაგლე ჩაიდინონ. აღშფოთებულნი არიან ამ დასახლების მცხოვრებნი. მიუხედავად შიშისა, ისინი დაუპირისპირდნენ იელოველებს და არ აძლევენ პარპაშის უფლებას...

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

## ინფორმაცია

### ქართულ-ამერიკული „რაზბორკა“ „ვარაზთან“

**ოფიციალური თბილისი ამერიკელებსა და ქართველებს შორის მომხდარ ჩხუბში „დიპლომატიული ჩარევის“ საჭიროებას ვერ ხედავს.**

— სამწუხაროდ, ადამიანებს შორის შელაპარაკება ხშირად ხდება, მითუმეტეს არასამუშაო დღეს. აღნიშნული ინციდენტიც, არასამუშაო პირობებში მოხდა. აქედან გამომდინარე, არა მგონია ეს რაიმე სახის სკანდალში გადაიზარდოს და დიპლომატიურ ჩარევას საჭიროებდეს, — განუცხადა კვირას მომხდარ ინციდენტზე კომენტირებისას ჟურნალისტებს საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილე ნინო კალანდაძემ.

შეგახსენებთ, რომ კვირას, სასტუმრო „ვარაზთან“ რამდენიმე ამერიკელსა და ქართველს შორის ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოხდა.

ჯი-ეიჩ-ენი

რჩევა

# საქართველო ამჯერად ცხელი აპრილისთვის მაქსიმალურად უნდა მოემზადოს



**სააგენტო „პირველის" ინტერვიუ რუსეთში მოღვაწე სამხედრო ექსპერტთან პაველ ფელგენგაუერთან.**

**— ბატონო პაველ, როგორ შეაფასებთ რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინის პროექტს, რომლის თანახმად, სახელმწიფოს პრევენციის მიზნით ბირთვული იარაღის გამოყენების უფლება ეძლევა და რომელიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენების ახლებურ წესებს განსაზღვრავს?**

— ამ კანონპროექტის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის მიუხედავად, რეალურად იგი დიდად არ განსხვავდება წინა დოქტრინისგან. ზოგადად ეს დოქტრინა ანარეკლია იმ განცხადებებისა, რომელთა თანახმად, რუსული ჯარი საუკეთესო ფორმაში არ არის და აქედან გამომდინარე, უახლოეს წლებში რუსეთი ბირთვულ იარაღზე გააკეთებს აქცენტს. რაც შეეხება დიმიტრი მედვედევის ინიციატივას ქვეყნის ფარგლებს გარეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყენების ახალი წესების განსაზღვრის თაობაზე, შარშან აგვისტოში, როცა რუსული ჯარი საქართველოში შეიჭრა, ეს არაკანონიერი იყო, ახლა კი ამ ინიციატივით ამის „გამოსწორებას" ცდილობენ.

**— კრემლი პანკისის ხეობის თემას დაუბრუნდა. რამდენიმე დღის წინათ საყურადღებო განცხადება გაკეთდა, თითქოს საქართველო „ალ-კაიდას" ტერორისტების ჩეჩნეთში გადასვლასა და მათთვის იარაღის მიწოდებას უწყობს ხელს. თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება ამ ტიპის განცხადებები და ხომ არ შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ მოსკოვი ახალ პროვოკაციას ამჯერად პანკისის ხეობაში ამზადებს?**

— მსგავსი ტიპის განცხადებები ადრეც კეთდებოდა და არც პატრუშევის უკანასკნელი განცხადება ნიშნავს რამეს, რადგან წლის მიმდინარე პერიოდში, კლიმატური პირობების გამო სამხედრო მოქმედებები არარეალურია. თუმცა მომავალი წლის აპრილში შეიძლება, მდგომარეობა დაიძაბოს, ფეთქებადსაშიშიც გახდეს და პატრუშევის განცხადება შეიძლება, მიზეზად იქნას გამოყენებული.

**— უახლოეს წარსულში თქვენ არაერთხელ გაგიფრთხილებიათ ქართული მხარე იმის შესახებ, რომ მოსკოვმა შესაძლოა, საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესია განაახლოს. განიხილავთ თუ არა დღესაც ამ შესაძლებლობას?**

— სამხედრო მოქმედებების საშიშროება მიმდინარე წლის აგვისტოშიც საკმაოდ დიდი იყო, თუმცა არა იმდენად, რამდენადაც გასული წლის იმავე პერიოდში. საფრთხე ძალიან დიდი იყო, თუმცა დასავლელი დიპლომატების დამსახურებით ამ ეტაპზე ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა. გარდა ამისა, თავად მოსკოვშიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, აზრთა სხვადასხვაობაა, ამიტომ წელს ომი არ განახლდა. თუმცა ეს სიტუაციის გამწვავების გამორიცხვის იმედს არ უნდა გვაძლევდეს. გავიმეორებ, სადღეისოდ სამხედრო ოპერაციის დაწყება, ამინდის გათვალისწინებით, არარეალურია, მაგრამ როცა გამოიდარებს, ომის საშიშროებაც მოიმატებს, რადგან დღემდე არსებობს ბევრი გადაუწყვეტელი საკითხი, პირველ რიგში კი ის, რომ რუსული ჯარი მოწყვეტილია სომხეთს და არ ხორციელდება არავითარი ტრანზიტი, რაც რუსეთის პოზიციებს კავკასიაში მნიშვნელოვნად ასუსტებს. პრობლემებია ასევე სამხრეთ ოსეთში, სადაც შარშანდელთან შედარებით, გაცილებით რთული და ცივი ზამთარი იქნება როგორც მოსახლეობისთვის, ისე რუსი ჯარისკაცებისთვის და არსებობს საფრთხე, რომ ეს პრობლემები არადიპლომატიური მეთოდებით გადაწყდეს. ასე, რომ, გაზაფხულამდე საქართველოს ხელისუფლებამ სიტუაციის სტაბილიზაციისკენ მაქსიმალური დიპლომატიური ძალისხმევა უნდა მიმართოს, ხოლო თუ ასე არ მოიქცევა და იმედი ექნება, რომ მომავალ წელსაც ყველაფერი თავისთავად მშვიდად ჩაივლის, შესაძლოა, მიმდინარე წლისგან განსხვავებით, სიმშვიდის მოლოდინი აღარ გამართლდეს.

**— როგორ აფასებთ ტალიავინის კომისიის ანგარიშს და რამდენად ობიექტურად მიგაჩნიათ მასში მოყვანილი დასკვნები?**

— ზოგადად ანგარიში ობიექტურია, მასში მოყვანილი ფაქტები სრულად ემთხვევა რეალობას. რა თქმა უნდა, შეიძლება, არ დაეთანხმო დასკვნის რაღაც ნაწილს, მაგრამ საერთო ჯამში, ვთვლი, რომ დასკვნა ობიექტურია.

**—და რომელი მხარისთვის არის, თქვენი აზრით, უფრო მძიმე ტალიავინის დასკვნა?**

— მოხსენება რაიმე განსაკუთრებულ დასკვნებს არ შეიცავს. საერთოდ, მთავარია არა ის, რა მოხდა, არამედ ის, რომ საფრთხე კვლავინდებურად არსებობს. მე ვამბობდი, რომ თუ სექტემბრის შუა რიცხვებამდე ომი არ იქნებოდა, ე.ი. წელს ომის საფრთხე აღარ იარსებებდა. ახლა ვამბობ, რომ ძალისხმევის მოდუნება დაუშვებელია, რათა ახალი ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები არ დავუშვათ. ამ დასკვნაშიც აღნიშნულია, რომ მთავარია, ახალი ომი აღარ იყოს.

**— როგორ შეაფასებთ რუსეთსა და ამერიკას შორის ე.წ. „გადატვირთვის" პოლიტიკის მიმდინარეობას?**

— ჯერჯერობით ეს დეკლარირებული პროცესი სრულიად გაუგებრად მიმდინარეობს. ამერიკის ადმინისტრაცია იმედოვნებს, რომ რუსეთთან შეთანხმებას მიაღწევს შტატებისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ირანი და ავღანეთი. როგორც გასული წლის აგვისტომდე, ახლაც ამერიკისთვის მთავარია, ომი არ იყოს. გასულ წელს აშშ ცდილობდა, ომი თავიდან აეცილებინა, მაგრამ ეს არ გამოუვიდა. ამერიკას არც ახლა სჭირდება ახალი რუსულ-ქართული ომი, მისთვის მნიშვნელოვანია, კავკასიაში სტაბილური სიტუაცია იყოს და პრინციპში, ეს ყველასთვის სასარგებლოა. შესაძლოა, ამჯერად შტატებს სიტუაციის დარეგულირება გამოუვიდეს და მოსკოვზეც და თბილისზეც ზეწოლა განახორციელოს, რათა მხარეები მშვიდად იყვნენ და არავინ არავის ესროდეს. კონფლიქტური საკითხის პოლიტიკური გადაწყვეტა შეუძლებელია, მაგრამ სტაბილიზაცია და ცეცხლის შეწყვეტა — შესაძლებელი. სასურველია, რომ ეს ასეც მოხდეს, რადგან ახალი ომი სარგებელს არც ერთ მხარეს არ მოუტანს. რუსეთში კვლავინდებურად არსებობენ ძალები, რომლებიც ძალისმიერ პოლიტიკას ემხრობიან, ის საკითხები კი, რომელიც გადაუწყვეტელია, კვლავინდებურად საფრთხეს ქმნის, თუმცა ასევე არსებობენ ძალები, რომელთაც სიტუაციის სტაბილიზაცია სურთ.

**— როგორ შეაფასებდით ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ სიტუაციას?**

— ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაცია დღითი დღე უარესდება. იქ არსებობენ კონსპირაციული ძალები, რომელთაც მოსახლეობის ნაწილი მხარს უჭერს. ეს იატაკქვეშა ძალები არა მხოლოდ რუსეთის ჯარებს, არამედ მოსკოვის მხარდამჭერ ადგილობრივებსაც უპირისპირდებიან. მიუხედავად მზარდი დაძაბულობისა, არ ვფიქრობ, რომ ეს ის სიტუაციაა, რომელიც კავკასიაში ფართომასშტაბიან ომს მოიტანს. იქ შეიძლება, მხოლოდ ამჟამინდელი სიტუაციის გაგრძელება და რამდენადმე გაუარესება იწინასწარმეტყველო. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ფართომასშტაბიანი ომი შეუძლებელია: მოსკოვში ჯერ არ მოუფიქრებით, რა იქნება მომავალში და რას გააკეთებენ ამასთან დაკავშირებით.

**— როგორ ფიქრობთ, ხომ არ წაახალისა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებამ ის ძალები, რომლებიც დღეს ჩრდილოეთ კავკასიაში თავად რუსეთს ებრძვიან?**

— მე ასე არ ვთვლი. დღეს რუსებს ჩრდილოეთ კავკასიაში არანაციონალისტები უპირისპირდებიან, როგორც ეს 1990-იან წლებში ჩეჩნეთში იყო. მაშინ ეს ეროვნული მოძრაობა იყო, ახლა კი ჩრდილოეთ კავკასიაში იატაკქვეშა ძალები მოქმედებენ, რომლებიც არა ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან, არამედ შარიათის ხალიფატის შესაქმნელად (ფეოდალური არაბულ-მუსლიმანური სახელმწიფო). შესაბამისად, ამ ძალებისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავს, მით უმეტეს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებები ვაჰაბიტები არ არიან. ასე რომ, აქ პირდაპირი კავშირი არ არის.

**— და ბოლოს, რუსეთის მხრიდან არსებული პროვოკაციების გათვალისწინებით, რა უნდა გააკეთოს ქართულმა მხარემ იმისთვის, რომ მოსალოდნელი საფრთხეები თავიდან აიცილოს?**

— ძალიან მნიშვნელოვანია სიტუაციის შეძლებისდაგვარად დარეგულირება, რადგან ახალი ომი ტრაგედია იქნება პირველ რიგში, საქართველოსთვის და შემდეგ ყველა დანარჩენისთვის. საჭიროა ევროპის მხარდაჭერის მოძებნა, ჰუმანიტარული სიტუაციის გაუმჯობესება აფხაზეთში, სადაც დარჩენილია ქართული მოსახლეობა. უნდა მიიღწეს ასევე დევნილების დაბრუნება. ამასთან, უნდა მომზადდნენ შეიარაღებული ძალები, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ საკუთარი ქვეყნის დაცვა შეძლონ. 2008 წლის აგვისტოში ქართველი სამხედროები მზად არ იყვნენ, ალბათ, იმიტომ, რომ მაშინ არავის სჯეროდა, რომ რუსეთი საქართველოში ფართომასშტაბიან შეჭრას აპირებდა. მე მაშინაც ვაფრთხილებდი საქართველოს ხელისუფლებას და ახლაც ვამბობ, რომ საჭიროა თავდაცვის გაუმჯობესება. ამავდროულად არ უნდა შეიქმნას იმის საბაბი, რომ საქართველო რამეში დაადანაშაულონ.

**ლევან ჭითანავა**

სამშობლოს განცდა

# ანაიდა ბესტავაშვილი: ჩემი მთავარი ბედნიერება და სიმდიდრე საქართველოა...

**ოთარ ჭილაძეს ჭირისუფალი საქართველოს გარეთაც ბევრი ჰყოლია. ისევე როგორც — თავად საქართველოს. ჭილაძის დიდი ხნის მეგობარი, მწერალი და მთარგმნელი ანაიდა ბესტავაშვილი ახლა მოსკოვში ცხოვრებს, დიდი ტკივილით საუბრობს ქართველი კლასიკოსისა და რუს მწერლებთან „უვიზო" მეგობრობის უდროო გარდაცვალებაზე, ძალიან განიცდის. გაწბილება შარშან აგვისტოშიც იყო, როცა საქართველოს მეგობრად წოდებულმა რუსმა მწერლებმა ხმა არ ამოიღეს და საქართველოს დაპყრობა „ყურს იქით გაატარეს". ვინ იცის რის გამო? საქართველო ახლა ხომ ასე „შორსაა"...**

ანაიდა ბესტავაშვილს მეგობრები საქართველოში, რუსეთსა და უცხოეთშიც მრავლად ჰყავს და არა მარტო ლიტერატურულ წრეებში. მისი მეგობრები მოსკოველი დისიდენტებიც იყვნენ: ანდრეი სახაროვი, რომელსაც ქალბატონმა ანაიდამ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია მეორე დღესვე აცნობა. იგი იხსენებს, რომ სახაროვის ყველა მეგობარი ცნობილი მეცნიერისა და უფლებადამცველის პოზიციასა და მოქმედებას საქართველოსთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად სულაც არ აფასებდა. იმ მომენტში სახაროვი სწორად მოიქცა. მისი ავტორიტეტის საშუალებით ტრაგედიის მეორე დღეს მთელმა მსოფლიომ შეიტყო იმ ძალადობის შესახებ, რომელიც საბჭოთა არმიამ მშვიდობიან მოსახლეობაზე განახორციელა. რუსული დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში ქართველთა ერთგული მეგობრები გალინა კორნილოვა და იური როსტი იყვნენ, თბილისში მეორე დღესვე გაფრინდა. იმ საშინელ დღეებში ანაიდა ბესტავაშვილიც თბილისში იყო, სადაც მისი ქალიშვილი და შვილიშვილი ცხოვრობდნენ.



ანაიდა ბესტავაშვილის მეგობარი ალექსანდრ გალიჩიც იყო, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ ქვეყნიდან გააძევა. იგი 58 წლის ასაკში სამშობლოდან შორს გარდაიცვალა. იყო „სხვა" ცხოვრებაც — ლიტერატურულ ინსტიტუტში, სადაც იგი 1988 წლამდე მუშაობისას ქართული ლიტერატურისა და მხატვრული თარგმნის თეორიის კურსს კითხულობდა და ქართულიდან მთარგმნელთა ოთხი ჯგუფიც მოამზადა. მისი ყოფილი სტუდენტები, ამჟამად კი ცნობილი ლიტერატორები თბილისში, მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში, ბულგარეთში, ლიტვაში, საფრანგეთში, გერმანიასა და ჰოლანდიაში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. 1983 წელს ანაიდა ბესტავაშვილს საქართველოს სსრ-ის დამსახურებული მოღვაწის წოდება წარმატებული შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის მიენიჭა. იბეჭდება 1960 წლიდან, 50 წიგნის მთარგმნელია, მისი პირველი რეცენზია კი თბილისში გამოცემული, ბულატ ოკუჯავას წიგნს „გზად თინათინისკენ" ეძღვნება. თარგმანებს შორის განსაკუთრებით აღნიშნავს ვახტანგ ჭელიძის წიგნს „საქართველოს ისტორიული ქრონიკები" (2 ტომი), რომელზეც იგი ისეთ ცნობილ პროფესიონალებთან ერთად მუშაობდა, როგორებიც იყვნენ ა. გვახარია და გ. ბერაძე. ასევე უყვარს ქართული ხალხური ზღაპრების, ქართული ხალხური ნოველებისა და ქართული ხალხური იუმორის საკუთარი თარგმანები. თუმცა გამოგიტყდებათ, რომ მის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი მისი საყვარელი მწერლის თამაზ ჭილაძის შემოქმედებას უჭირავს, რომელსაც იგი თითქმის 40 წლის განმავლობაში თარგმნიდა და რომელსაც ევროპული დონის შემოქმედად მიიჩნევს. მისი ადრეული მოთხრობა „გასეირნება პონის ეტლით" (1962) რუსულად სწორედ ანაიდა ბესტავაშვილმა თარგმნა.

ქალბატონი ანაიდა მიყვება, რომ დაიბადა იმ სახლთან ახლოს, სადაც გალაკტიონი ცხოვრობდა. როცა დედასთან ერთად სეირნობდა, ქუჩაში ძალიან ლამაზი მამაკაცი ხვდებოდა, რომელიც უცნობ შემხვედრებს ზრდილობიანად ესალმებოდა, ხანდახან ჩერდებოდა, რათა დედა-შვილს გასაუბრებოდა. პატარა ანაიდას ლიტერატურის ვირუსი სწორედ მან „გადასდო" და ამიტომაც 12 წლის გოგონამ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში თავისი ნაწერების მიტანა გადაწყვიტა.

— ძალიან გამიმართლა, — განაგრძობს იგი. — ჩემი ხელმძღვანელები ქეთევან ანანიაშვილი და ვალენტინა გრიაზნოვა იყვნენ, ორი შესანიშნავი ქალბატონი, რომლებმაც ჩვენს პატარა წრეს ლიტერატურული შემოქმედება შეაყვარეს. არასოდეს დამავიწყდება 1956 წლის მარტის თვე, როცა ჩვენი ახალგაზრდობა პირველად გამოვიდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ამ დემონსტრაციებს ბევრი ისტორიკოსი, განსაკუთრებით რუსეთში, დღემდე სტალინის მხარდამჭერ მიტინგად თვლის. მაგრამ ეს ასე არ იყო. როცა ჩვენ სკოლაში მივდიოდით, ყველა ქუჩა თოფიანი და ხიშტიანი რუსი ჯარისკაცებით იყო გარშემორტყმული. ღია სატვირთო მანქანებში ახალგაზრდა ბიჭები მიჰყავდათ. ისინი ყვიროდნენ, რომ ხალხი არ დაუშვებს ერის განადგურებასა და შეურაცხყოფას. ეს შიშისმომგვრელი იყო. ამ ამბოხის ერთგვარი გამოხატულება ჩვენი ლიტერატურული წრის უფროსი წევრი, ნიჭიერი პოეტი ვალერი დუნაევსკი იყო. იგი ე.წ. ანტისაბჭოთა ლექსების, პოემებისა და მოთხრობების გამო დააპატიმრეს და 7 წლით გადაასახლეს, ყველა ჩვენ კი КГБ-ში დაგვიბარეს, სადაც გვთხოვდნენ, რომ ჩვენება ჩვენი მეგობრის, მართლაც კარგი და პატიოსანი ადამიანის წინააღმდეგ მიგვეცა. ვალერი ახლა ისრაელში ცხოვრობს და იმედი მაქვს, რომ ყველაფერი კარგად აქვს. ეს ტრაგიკული ამბავი აღწერილია ჩემი კოლეგის, ჟურნალის „დრუჟბა ნაროდოვ" მთავარი რედაქტორის ალექსანდრე ებანოიძის რომანში „ზევით და ქვევით".

იხ. 9 გვ.

# ხმა ქვეყნის გასაგონად:

## სრულიად საქართველოს, ხალხს, ოპოზიციას, პრეზიდენტს!



**რა არის საქართველო? რა არის სახელმწიფო? — ეს არის საქართველოს ხალხი, საქართველოს მოსახლეობა, რომელზეც მიმართვა და რომელთანაც ლაპარაკი უდიდესი პასუხისმგებლობაა. ამის უფლება ყველას არ გააჩნია. ყველას როდი შეუძლია თქვას სიმართლე. ბევრი თქვენგანი მე არ მიცნობს, არ მომეცა ამის საშუალება, მაგრამ მე ვგრძნობ ჩემს შინაგან, მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას სამშობლოს წინაშე და ამიტომ მოგმართავთ!**

ძვირფასო მეგობრებო! ძვირფასო ხალხო!, თქვენ ყველაზე მეტად განიცდით საქართველოს მდგომარეობას, იმ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს სამშობლოს. თქვენ ყველაზე მეტად იტანთ იმ გაჭირვებებს, რასაც ყოველდღიურად ხედავთ. თქვენ ხართ ერის მეობისა და ცნობიერების გამომხატველი, მუდმივი და ერთადერთი რეალური მამოძრავებელი ძალა საქართველოს ისტორიისა და მისი სახელმწიფოებრიობისა. თქვენ ხართ ყველა ხელისუფლების და მათი ძალაუფლების ნამდვილი წყარო. მხოლოდ თქვენს მხარდაჭერაზე ზრუნავს ხელისუფლება და სხვა პოლიტიკური ძალები, პარტიები თუ მათი ლიდერები, ზოგჯერ უკომპრომისო ბრძოლა მიდის თქვენი მხარდაჭერის მოპოვებისთვის. თუ დამისვამთ კითხვას რატომ?, — გიპასუხებთ: იმიტომ რომ გარდამტეხ სიტუაციებში თქვენი არჩევანი ყველას სჭირდება და ეს არჩევანი გადამწყვეტია. თქვენ სჭირდებით ყველას, ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც. მკითხავთ რისთვის? — გავიმეორებ: **ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად!** თქვენ აძლევთ ძალას სამართლიანობას ან უსამართლობას. ამიტომაც დააფასეთ საკუთარი თავი, დააფასეთ საკუთარი არჩევანი.

ახლა კი, აღნიშნული თვალსაზრისით ნება მომეცით განვმარტო თქვენი არსებითი მნიშვნელობა, ამოცანა და შეცდომები, რომლებიც პირდაპირ ასახება თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაზე.

თქვენ (ხალხი) წარმოადგენთ სამშობლოს, ქვეყნის, სახელმწიფოს 99 პროცენტს. მმართველი ხელისუფლება ძალოვანი სტრუქტურებით, ყველა პარტია, განსხვავებით თუ კოალიციური პიროვნებები მხოლოდ ერთი პროცენტია. ე.ი. თქვენ წარმოადგენთ მაქსიმალურ და გადამწყვეტ ძალას. ამიტომ დღევანდელი დანაშაული ხელისუფლებამ დღეისთვის ეფუძნება იმაზე, რომ თქვენ მოგატყუონ, იმაზე რომ თქვენ არ გაიგოთ სიმართლე, იმაზე რომ შეგაშინონ, იმაზე რომ თქვენ არ შეიკრიბოთ! მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევად ხელისუფლებამ უკანონოდ დაითრია პრაქტიკულად ყველა ტელე არხი. ტელევიზიის მეშვეობით თქვენ გაბრუებენ, გხლეჯენ, გათითოკაცებენ! ყველაზე მეტად ხელისუფლებას ეშინია თქვენი გაერთიანების, თქვენი მტკიცე ერთობის, თქვენი დაუმორჩილებლობის! სამწუხაროდ, ხელისუფლება აღწევს თავის მიზანს, რადგან იცის თქვენი სუსტი ხასიათი, მოსახლეობის ნაწილის შენება - „ოღონდ მე არაფერი დამემართოს, სხვები კი რა ჩემი საქმეა, ხელისუფლება მაინც თავისას გააკეთებს“... სამწუხაროდ, ეს ბრძოლა ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა – ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ხალხს არ ქონდეს ხმის ამოღების საშუალება, რომ ხალხი იყოს უმუშევარი, მშიერი და იფიქროს მხოლოდ ლუკმა პურზე!

ხელისუფლების მთავარი დანაშაული ის არის რომ ყოველგვარი მეთოდებით ძარცვავს ხალხს, აშორებს ფულს. ხელისუფლებას სძულს ხალხი და პატივს არ სცემს მას. ხელისუფლება ასე მსჯელობს: მე ვაძლევ ხალხს ფულს, მაგრამ... რა და რომელ ფულზეა ლაპარაკი? - ისევ ხალხისაგან უკანონოდ ნაძარცვ ფულს ხელისუფლება იღებს სამმაგად დაფასებულ გადასახადებში და უბრუნებს ერთმაგს! ფულის ამოღების მიზნით ხელისუფლებამ დაანესა პატიმრობისა და სისხლის სამართლებრივ „პასუხისგებაში“ მიცემის მრავალი საშინელი მეთოდი, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკაში გადაიზარდა. მოგაწოდებთ ჩემს ანალიზს: ხელისუფლებას, თავისი მმართველობის დროს, სტატისტიკის მიხედვით, სულ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული ჰყავს 120 ათასი ადამიანი. აქედან არანაკლებ 100 ათასი მოქალაქე - განზრახ უკანონო პასუხისგებაში, რომელმაც „ გამოისყიდა“ თავისუფლება, ან გაინახევრა პატიმრობა და ე.წ. საპროცესო გარიგებებით ხელისუფლებას გადაუხადა დაახლოებით 2 მილიარდი ლარი! ამით სახელმწიფო ბიუჯეტმა და ცალკეულმა პიროვნებებმა მიიღეს 1,5 მილიარდი დოლარი! ვინ გვიპასუხებს, სად წავიდა ეს ფული? აქედან გასაგებია, რომ პატიმრობას და ციხეს აქვს დანაშაულებრივი კომერციული ხასიათი.

შეგვიძლია კიდევ ვიკითხოთ თუ სად წავიდა ხელისუფლების მრავალი ფარული გარიგება — ხელშეკრულების ფული? 10 პროცენტი თუ მოახმარეს ხალხს, დანარჩენი — პირიქით, ხალხის საწინააღმდეგოდ ფინანსდება უამრავი პიარ-კამპანიები და სხვა „არასაბიუჯეტო“ პროგრამები ძალაუფლების ბოროტად გამოყენების და ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით. ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის, ხალხის ეროვნულ-ნაციონალურ სიმდიდრეს ხელისუფლება უკანონოდ ითვისებს და ასევე უკანონოდ ხარჯავს. თუ ეს ასე არ არის, მაშინ გამჭირვალედ გამოაქვეყნოს საბიუჯეტო შემოსავალ-გასავალი. ამას ვერ შეძლებს, რადგანაც ეს ნიშნავს დანაშაულებრივი განაჩენის გამოტანას. საბოლოოდ ხელისუფლების მიერ უკანონოდ მიღებულ-დახარჯული ფულის რაოდენობა შეადგენს არანაკლებ მილიარდ დოლარს. ამის გარდა, ხალხისთვის უცნობია ხელისუფლებას რა ვალდებულებები აქვთ ამ ფულით აღებული. შესაძლოა გვიპასუხონ რომ ეს ფული ჯანდაცვას, მეცნიერებას (განათლებასძ მედიცინას, პენსიონერებს, დევნილებს მოახმარეს. დაუჯერებელია! პრაქტიკულად, ყველა ეს სფერო არის კომერციული. შესაძლოა, ამ ფულით გზებს გვიგებენ. ეს გამორიცხულია, რადგანაც გზებს გვიგებენ მსოფლიო ბანკის დაფინანსებით. რა თქმა უნდა, ამ დამალული თანხებიდან ფინანსდება არჩევნებიც და ცალკეული პიროვნებების მოსყიდვის მაქინაციებიც!

რაც შეეხება არჩევნებს, ხელისუფლება ხალხს საერთოდ პატივს არ სცემს და არც მიიჩნევს ვალდებულად შეუსრულოს რაიმე დაპირებები. გავაღრმავოთ და ავხსნათ რატომ, რით ხელმძღვანელობს ხელისუფლება თავის განმარტებებში? სამწუხაროდ, მათ მსჯელობას აქვს გარკვეული საფუძველი. გაჭირვების გამო ამომრჩევლის უმცირესმა ნაწილმა გაყიდა საკუთარი ხმა 30-ლარიან ფქვილის ტომრებზე. რა თქმა უნდა, სჯობდა ხელფასი გაეზარდათ ან ახალი საწარმოები გაეხსნათ, დაპირებისდაგვარად, მაგრამ ამ შემთხვევაში ქონდათ მარტო ერთი მიზანი — მოტყუება და ხელისუფლების შენარჩუნება, რაშიც ზოგიერთი თქვენგანი დამატებით გაყალბების გარეშე დაეხმარა. დასკვნა მარტივია: ჩვენ ამომრჩევლები ვიყიდეთ და არა ვართ ვალდებული მათ წინაშე! მე ახლა არ ვლაპარაკობ კანონის დარღვევებზე. საუბედუროდ, ლუკმა-პურზე ერის ინტერესები არ უნდა გაყიდოს ადამიანმა. როგორც ხედავთ, ეს ძვირად გვიჯდება. მომავალ არჩევნებზე მაინც, ნუ გაყიდით თქვენს უფლებებს. სჯობს ავირჩიოთ რეალური პასუხისმგებლობის მქონე ხელისუფლება და მოვითხოვოთ ჩვენი

**ბატონო პრეზიდენტო, შეწყვიტეთ რეპრესიები, დანიშნეთ ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები**

უფლებების დაცვა.

არ შემიძლია არ შევეხო ადამიანის უარყოფით არსებით ბუნებას - შიშს, ამ მარადიულ გრძნობას, რომლითაც სარგებლობს ხელისუფლება. შიში თითქმის კლავს ადამიანს, შიშით მცხოვრები ადამიანი უკვე „მკვდარია“. შიშის გამო ბევრი თვალს ხუჭავს ხელისუფლების უსამართლო ქმედებებზე. შიშის გამო თქვენ ხმას არ იღებთ. შიშის გამო თქვენ არ ერთიანდებით და მხარს არ უჭერთ ერთმანეთს. შიშის გამო თქვენ ზოგჯერ ცრუობთ კიდეც. შიშით თქვენ კარგავთ თქვენს საზოგადოებრივ დანიშნულებას, უნარს, ძალას, თავისუფლებას, თქვენ ემსახურებით ბრბოს ფსიქოლოგიას და ხელს უწყობთ ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებს.

რისი გეშინიათ? ბუნებრივია, გეშინიათ რომ თქვენ არ დაგიჭირონ, არ დაკარგოთ სამუშაო და ასე შემდეგ. რატომ გეშინიათ? იმიტომ რომ, იცით გვერდში არავინ ამოგიდგებათ და თქვენც არა ხართ მზად გვერდში ამოუდგეთ სხვას. სამწუხაროდ, ასეთი ცნობიერების გამო უამრავი ადამიანი უკანონოდ იჩაგრება. ეს თქვენი ბრალია. პრაქტიკულად ყველანი გაჩუმდით, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იცით: თქვენი თანაქალაქელი, თანასოფლელი უკანონოდ ისჯება, უკანონოდ იდევნება, უკანონოდ აყურყუტებენ ციხეში. ხელისუფლება ამას გამომწვევად და თან სპეციალურად აკეთებს თქვენს დასაშინებლად, რომ მერე გაგათითოკაცონ, დაგზაფრონ, რომ ხმა არ ამოიღოთ და არ გაერთიანდეთ უსამართლობის წინააღმდეგ.

თქვენ უნდა გადალახოთ ეს „უკურნებელი“ გრძნობა — შიში. არც ერთი უსამართლობა, რაც მოხდა თქვენი თვალთახედვის არეში არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ. გაიხსენეთ ჩვენი წინაპრების ადათ-წესები, როდესაც ხალხი ერთმანეთს გვერდში ამოუდგებოდა უსამართლობისა და გაჭირვების ჟამს. როცა პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო ან სხვა ფარული უწყებები უსამართლობას სჩადიან თქვენი თანამემამულის წინააღმდეგ, ეს ნიშნავს იმას რომ ისინი გამოდიან თქვენს წინააღმდეგ, თქვენი ოჯახის წინააღმდეგ და საბოლოოდ — ერის წინააღმდეგ. იმიტომ რომ ყოველი თქვენგანი არის ერის სრულყოფილი წარმომადგენელი. ყოველ ნორმალურ ქვეყანაში წესრიგს ამყარებს ხელისუფლება. ამისთვის ხელისუფლება ფლობს პოლიციას, პროკურატურას, სასამართლოს, უშიშროების უწყებას და შეუძლია ბოროტმოქმედების ალკვეთა და მშვიდობიანი მოქალაქის დაცვა, მაგრამ თუ ხელისუფლება ამას ვერ ახერხებს და მით უმეტეს მისი ნაწილი თვითონ სჩადის დანაშაულს, მაშინ იგი კეთილსინდისიერად უნდა მოიქცეს და მისცეს ხალხს საშუალება აირჩიოს ახალი ხელისუფლება, ვისაც ხელეწიფება ქვეყნის პატრონობა, თორემ მთელი ერის პოლიციად გადაქცევა არავითარ სიკეთეს არ მოუტანს ქვეყანას, პირიქით, დაანგრევს მას. ამავე დროს ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო უწყებებში, პოლიციაში ბევრი ნაძირალაა, მაგრამ არის ჯანსაღი ნაწილიც, ვისაც კარგად ესმის თავისი მოვალეობა. არც ჩვენი ხალხი იმსახურებს უნდობლობას.

ჩვენ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა გვინდა. ასეთ სახელმწიფოში კანონი უნდა წარმართავდეს ხალხის ცხოვრებას. კანონი რომლის დაცვა-აღსრულება თანაბრად სავალდებულოა ყველა მოქალაქისთვის, სულერთია, იქნება ის გლეხკაცი, გუბერნატორი, პროკურორი თუ პრეზიდენტი. სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისთვის არ უნდა დავიშუროთ ძალ-ღონე, თორემ საშიშია ისე არ გამოვიდეს რომ ის მცირე დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობაც დავკარგოთ დღევანდელ პოსტკონფლიქტურ მდგომარეობაში, ქვეყანა მაშინ ილუპება როცა სათანადო სახელმწიფო ფუნქციები უთავბოლოდ აგვერევა. ცხადია, ამას წინ ჩვენ უნდა აღვუდგეთ, ამიტომ, პანიკურმა შიშმა არ უნდა შეგვიპყროს.

გადავხედოთ ამ წინადადებებს პრაქტიკულად. რა უნდა ქნას ადამიანმა, მოქალაქემ, როდესაც თვით სახელმწიფო, მისი სამართალდამცავი ორგანოები სჩადიან დანაშაულს? ვის უნდა მიმართოს მოქალაქემ თავისი უფლებების დასაცავად? — მხოლოდ ხალხს, მხოლოდ საზოგადოებას! არც ერთი დანაშაული, ჩადენილი სახელმწიფოს, ხელისუფლების მხრიდან ყოველი ადამიანის მიმართ არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ. **არის ერთი გამოსავალი — პროტესტი, ერის პროტესტი, დემონსტრაცია, მანიფესტაცია, დაუმორჩილებლობა.** ეს არის თქვენი (ხალხისძ უფლებები ქვეყნის მთავარი კანონის – კონსტიტუციის მიხედვით და ასევე საერთაშორისო ნორმების თანახმად. მისი წევრია ჩვენი ბედკრული საქართველო. გამოიყენეთ თქვენი უფლებები — გაერთიანდით, გამოდით ყველა ყოველი უსამართლობის და სამშობლოს ნგრევის წინააღმდეგ და თქვენ ვერავინ ხელს ვერ გახლებთ. ხალხის 99 პროცენტს 1 პროცენტი ვერ გაუძლებს. ახლა კი გაიხსენეთ რამდენი ადამიანი, თქვენი თანაქალაქელი, თანასოფლელი, მეგობარი, ნათესავი უსამართლოდ დაილუპა, უსამართლოდ იქცა დევნილად და დღესაც იდევნება! უპასუხეთ და თქვენ თვითონ მიიღებთ გადაწყვეტილებას. გახსოვდეთ, როცა ადამიანი (ხალხიძ კარგავს თავისუფლებას (თავის უფლებასძ, **მას კიდევ გააჩნია ქვეყანა, მაგრამ სამშობლო უკვე დაკარგული აქვს, მხოლოდ თავისუფლება უბრუნებს ხალხს სამშობლოს. დავიბრუნოთ სამშობლო, ავაშენოთ სახელმწიფო და აღვადგინოთ მთლიანი საქართველო**. ეს ამოცანა ძნელი, მაგრამ შესაძლებელია, თუ ჩვენ ყველა ერთმანეთს გვერდში ამოვუდგებით, არ შევუშინდებით და ვიტყვით მოუსყიდველ სიმართლეს. ჩვენ მთელ მსოფლიოს ვთხოვთ დახმარებას, ჭკუის სწავლებას, დემოკრატიის დამყარებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. რამდენ ხანს შეიძლება მათხოვრად ყოფნა? ეს დამამცირებელია ჩვენი ერისთვის, მაგრამ ესეც შედეგს არ მოგვიტანს. როგორ დავიჯერო, რომ ჩვენზე ვინმემ იზრუნოს ჩვენს მაგივრად და თანაც კიდევ უანგაროდ? ეს ხომ უტოპიაა, თავის გაცურება და მოტყუება, ვის რად ვჭირდებით ან ვისი რა გვჭირდება? ჩვენ თუ მართლა გვინდა საქართველოს გაბრწყინება, უნდა მოვუაროთ ერთმანეთს. ჩვენ გვაქვს დალოცვილი მიწა, ყველა კუთხეში საოცარი მრავალფეროვნება, საოცარი ბუნება, ნიჭიერი ხალხი, დიდი ისტორია, დიდი კულტურა და გამორჩეული ტრადიციები, ოღონდ ამას არ სჭირდება ნამეტანი ქება, სჭირდება მხოლოდ ნამდვილი საქმე. ჩვენ თვითონ უნდა ვიფიქროთ საქართველოზე და ყველაფერი გამოვა. ძალა ერთობაშია და არა გათითოკაცებაში, თუ ყველა თავის თავზე იფიქრებს არაფერი გამოვა. მე მიკვირს, რომ საქართველო პროდუქტს ყიდულობდეს სხვა ქვეყნებიდან, როცა ჩვენ იქით უნდა ვამარაგებდეთ მათ და ვშოულობდეთ ფულს.

ჩვენ არსად არ ჩავყარეთ მყარი საძირკველი, ბევრ რამეს ვერ ვწყვეტთ ან არ ვაკეთებთ საფუძვლიანად, მათ შორის:

– **არც საერთაშორისო დიპლომატიას;**
– **არც შიდა პოლიტიკურ მოწყობას;**
– **არც გამჭვირვალე ეკონომიკას;**
– **არც ჯანდაცვის საკითხებს;**
– **არც უშიშროების პრობლემებს;**

უმეტესეზობას ვაკეთებთ ზედაპირულად. ასე კი არაფერი გამოვა:

– როგორ შეიძლება, რომ ბავშვები მიდიოდნენ სკოლაში და იხდიდნენ სწავლის ფულს, — როგორ უნდა განათლდეს ჩვენი ერი?

– როგორ შეიძლება, სამნახევარ მილიონიან ქვეყანაში მშობიარობა იყოს ფასიანი, როგორ უნდა გამრავლდეს ჩვენი ერი? ამას უნდა ფუნდამენტური გადაწყვეტა;

– როგორ შეიძლება მეცნიერების დახრჩობა?;

– როგორ შეიძლება ქართული ხელოვნების — კინოს დაკარგვა-დაკნინება?

– რით გამართლდება დამსახურებული პიროვნებების დაუფასებლობა, სრული იგნორირება?

– როგორ შეიძლება ადამიანი ქვეყანას ემსახუროს მთელი ცხოვრება და მას არ ჰქონდეს ჯანდაცვის სადაზღვევო პოლისი, ან ღარიბი პენსიით ფიქრობდეს ლუკმა-პურზე. თქვენ იტყვით, რომ ყველაფერს უნდა ფული? ფული არის, ოღონდ მას სჭირდება მიზანმიმართული და გამჭვირვალე საბიუჯეტო გამოყენება. ამის გარდა, დავატერორეთ ბიზნესი, არავინ არ გვიჯერებს და მათ შორის ჩვენი თანამემამულეები. რეალური ინვესტიციები არ შემოდის. ეკონომიკა პრაქტიკულად გაყინულია. როგორ უნდა ავაშენოთ ქვეყანა თუ ბიზნესი არ იქნება თავისუფალი, რასაც ვაკეთებთ, იმასაც ვზგრავთ. სახელმწიფო „კორპორატიული“ ბიზნესი კი ბევრს ვერ გაიტანს ე.წ. საჩუქრებთან ერთად, რასაც ერთობ საეჭვო დასაწყისი აქვს.

ჩვენ მტრის ხატი არ უნდა დავინახოთ ერთმანეთში. ნუ ვყოფთ ხალხს „ჩვენებად და თქვენებად“, ეს უნდა მოისპოს. ამან მოგვიტანა უბედურება. სანამ ჩვენ არ აღვადგენთ სიმართლეს, სანამ ჩვენ თვითონ არ აღვადგენთ ისტორიულ სამართლიანობას, ვერ განვავითარებთ ქვეყანას, ვერ დავიბრუნებთ აფხაზეთს და სამაჩაბლოს. ამ საკითხებს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება: აფხაზებთან, ოსებთან გვჭირდება მეგობრული ურთიერთობა, სიყვარული და არა დაპირისპირება. ჩხუბით არაფერი არ გამოვა!

ოპოზიციაც არ არის ერთიანი, კონკრეტული და რეალური მთავარ საკითხებზე. ეს აბნევს ხალხს და უნერგავს მათ უნდობლობას. დღევანდელ სიტუაციაში მოჩვენებითი გაერთიანება უნდა დამთავრდეს. მოვიდა გამიჯვნის დრო. სჯობს ადრე, ვიდრე გვიან. ეს საკითხი მაინც დადგება, როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს, მაგრამ მომწიფდა ჟამი, უკვე დაუშვებელია ლაპარაკი შერიგებაზე, გარიგებაზე, მოსყიდვაზე, ამით ხელისუფლება მხოლოდ სარგებლობს და ამიტომაც დიალოგს ეკარგება შინაარსი. პოლიტიკურ ბრძოლას აქვს თავისი წესები, მაგრამ ასეთი პოლიტკორექტულობა საქართველოში ჯერ არ დამკვიდრებულა. ამიტომ დღევანდელი მოქმედი ხელისუფლება ფიქრობს მხოლოდ ძალაუფლების შენარჩუნებაზე და არა ქვეყნის განვითარებაზე და მით უმეტეს ხალხზე. რა სიკეთის გამკეთებელია ხელისუფლება, რომელიც ზრუნავს მარტო სავარძლის შენარჩუნებაზე! სამწუხაროდ, ბევრი ე.წ. ოპოზიციური ლიდერები დაემსგავსნენ ხელისუფლებას. თვით ხელისუფლების დანაშაული არის ის, რომ ხალხის დაშინებით ცდილობს ქვეყნის მართვას და ერის მონად გადაქცევას, მაგრამ ეს არ გამოუვათ, ხალხი თანდათან ფხიზ-

№ 222. სამშაბათი, 3 ნოემბერი, 2009 წელი.

# დაიცავით სამშობლო, ის თქვენ გეკუთვნით!

ლდება. ამჟამად მოწინააღმდეგეთა შორის წამზომი ჩაირთო და ამას ვერავინ გააჩერებს. მხედველობაში მყავს ხალხი და ხელისუფლება. სანამ არ გაირკვევა ნამდვილი და მოჩვენებითი ოპოზიცია, ხალხი არ დაიჯერებს. ხალხის მოტყუება ძალიან ძნელია, იგი ყველაფერს გრძნობს. **დღევანდელი „ოპოზიციის" უმრავლესობა მარტო სავარძელზე ფიქრობს და არაფრით არ სჯობს მოქმედ ხელისუფლებას. მალე ხალხი თვითონ წარმოშობს ნამდვილ ოპოზიციურ ძალას და თვითონ მოსთხოვს პასუხს ხელისუფლებას. სხვაგვარად ყოვლად დაუშვებელია ხალხის სირბილი აქციებიდან აქციებზე!**

* * *

**ორიოდე სიტყვით უნდა მივმართო პრეზიდენტს და მისი „პორტრეტი" თქვენს წინაშე წარმოვაჩინო.**

**ბატონო პრეზიდენტო!** — თქვენ გქონდათ ხალხის 90-პროცენტიანი მხარდაჭერა. მეც პირადად მივესალმე თქვენს მოსვლას და არაერთი წერილით მოგმართეთ. თქვენ შეგეძლოთ შესულიყავით ისტორიაში საქართველოს აღმშენებელ პრეზიდენტად, მაგრამ თქვენ ეს შანსი ხელიდან გაუშვით და შეუზრალებლად დაკარგეთ. დღეს კი ღმერთმა მოგცეთ უნარი, რომ შეძლოთ მშვიდობიანი წასვლა თანამდებობიდან.

ბატონო მიხეილ! მინდა ვიყო ობიექტური თქვენს მოღვაწეობასთან დაკავშირებით და პირველ რიგში მოგახსენოთ მადლობა იმისათვის, რომ **თქვენ გააღვიძეთ ხალხი, დაანახეთ როგორ არ შეიძლება ცხოვრება. თქვენი მმართველობის დროს აშენდა პრეზიდენტის სასახლე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალი შენობა, შეიქმნა ახალი ქვეყნის დროშა და სხვა სახელმწიფოებრივი რეგალიები, გაუქმდა დამამცირებელი საბაჟო საზღვარი აჭარასთან, შეიქმნა თანამედროვე პოლიცია სათანადო აღჭურვილობით.** ძირითადად ამით შემოიფარგლა თქვენი დადებითი მახასიათებელი. ხალხს კი ჰქონდა ბევრად მეტის იმედი: დამოუკიდებლობა, თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანთა უფლებების დაცვა, ეკონომიკის განვითარება, გამჭვირვალობა და რაც მთავარია — ქვეყნის გამთლიანება. ეს ყველაფერი თქვენ ვერ შეძელით, პირიქით დაკარგეთ ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტი, გაამრავლეთ დევნილები და დააყენეთ ქვეყანა საფრთხის წინაშე. ფუნდამენტურად არ გადაწყვეტილა არც ერთი სახელმწიფოებრივი საერთაშორისო, ეკონომიკური, სოციალური, ეთნიკური, ქვეყნის მოწყობის, თვითმმართველობის, არჩევნების საკითხები.

— ქართველი ხალხი ყველა დროში იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისა და ღირსებებისათვის. ეს თქვენ, ბატონო მიხეილ, არ გაითვალისწინეთ, პირიქით ხალხი თქვენ მიიჩნიეთ საკუთარ საძერწ მასალად და პირადი ინტერესები დააყენეთ ხალხზე უფრო მაღლა. თქვენ გადაიქეცით დიქტატორად:

**— დევნით განსხვავებულ აზრს;**

**— დაამყარეთ ერთპარტიული მმართველობა;**

**— შექმენით უკონტროლო მთავრობა, თავად უწევთ კონტროლს, რაც უკვე ნიშნავს კორუფციას;**

**— ვერც ერთმა მმართველობამ ბოლო პერიოდში ვერ მოახერხა ამდენი ფულის ამოღება ხალხისგან, რამდენიც დღევანდელმა მმართველმა გუნდმა;**

**— დაიპყარით თავისუფალი სიტყვა, ტელეკომპანიები უკანონოდ ჩაიგდეთ ხელში და მათი მეშვეობით ავრცელებთ სიცრუეს და სიყალბეს. ამავე დროს „სიტყვის თავისუფლებას" იყენებთ თქვენი ინტერესებისთვის. ვინ დაგიჯერებთ, რომ თეა თუთბერიძის (თავისუფლების ინსტიტუტის) ქმედება ეკლესიის, პატრიარქის წინააღმდეგ თქვენი — პრეზიდენტის დავალების ან თანხმობის გარეშე გაკეთდა;**

**— დაამყარეთ ძალადობრივი, უკანონო სახელმწიფო და პოლიტიკური რეჟიმი. სამართალდამცავი და უშიშროების ორგანოები გადააქციეთ პირადი ინტერესების იარაღად და არა ხალხის დამცველებად;**

**სისტემატურად არღვევთ მოქალაქეთა უფლებებს, მრავალი ადამიანი უკანონოდ ჩასვით ციხეში, მათ შორის ბევრი პოლიტპატიმარი.**

რაც შეეხება პატიმრებს, დაპატიმრებას, დაკავებას, ეს რას ჰგავს ბატონო პრეზიდენტო?, რად გინდათ ამდენი პატიმარი? საქართველო გავიდა მსოფლიოში პირველ ადგილზე პატიმრების რაოდენობის მიხედვით. თქვენ წარმოიდგინეთ, 40 ათასი პატიმარი და აქედან ნახევარი — შეთითხნილი საქმეებით, უმეტესობა საზოგადოებრივი, პოლიტიკური ნიშნით, მოაზროვნე პიროვნებები ჩაკეტეთ ციხეში, რომ ხელი არ შეეშალათ ხელისუფლების ე.წ. საქმიანობისთვის. ამით ხელისუფლება თესავს შიშს ხალხში, ამას ჰქვია ადამიანთა უფლებების აშკარა დარღვევა. რა უპრეცედენტო, გენოციდის ტოლფასი ტრაგედია ტრიალებს ჩვენს ქვეყანაში? გასაგებია, რომ უკანონო დაპატიმრება, სხვა ამოცანების გარდა, არის სახელმწიფო პოლიტიკა ფინანსური გამოძალვის მოტივით. ეს არის ქართველი ხალხისთვის განზრახ ფულის გამოძალვა, ხალხის ძარცვა კომერციული მიზნით.

ამასთანავე, ბატონო პრეზიდენტო! რა ხალხის დაცინვაა ეს ცინიკური შეწყალებები... ვადამდე ადრე განთავისუფლების ე.წ. „უდოების" განხორციელების წესები, რომელიც ჰუმანიზმის პიარ-აქციებს უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს. აცხადებთ ათას ადამიანს, უშვებთ ათს! რად აყრით ხალხს ნაცარს თვალებში? გასაგებია, რომ ხელისუფლებას არ აწყობს პატიმრების გაშვება პოლიტიკური თვალსაზრისით და არა იმიტომ რომ, ისინი საზოგადოებისათვის საშიშროებას წარმოადგენენ. ამის გარდა, პატიმრებს აქვთ საარჩევნო დატვირთვაც, ალბათ, თქვენთვის ან თქვენი ფავორიტის ასარჩევად. საქვეყნოდ ცნობილია ხმების შეგროვება პატიმრების მეშვეობით, მრავალი მათგანი მაინც მოტყუებული დარჩა.

გაუშვით ხალხი ციხიდან, ისინი უკვე არ დაგიჯერებენ. სჯობს აიცილოთ თავიდან მათი გამწარებული რისხვა. ყოველ შემთხვევაში, ამას ხალხი თქვენ დაგიფასებთ.

ამის გარდა, თუ ინებებთ შეგახსენებთ რამდენიმე უბრალო და ბრძნულ გამონათქვამს, ბატონო პრეზიდენტო: **„შეიძლება ის, რაც შეიძლება, და არ შეიძლება ის, რაც არ შეიძლება." „არ უნდა გააკეთო ის, რაც არ უნდა გააკეთო, ან არ უნდა შეეხო იმას ვისაც არ უნდა შეეხო."** ეს ძირძველი ადამიანური წესები, სამწუხაროდ, თქვენ აშკარად დაარღვიეთ.

მთავარი დანაშაული ის არის, რომ თქვენი ინტერესებიდან გამომდინარე, ქვეყნის იოლად მართვისათვის შიში ჩაუნერგეთ ხალხს. განსაკუთრებით დაამონეთ და დააბეჩავეთ სამეგრელო. ყველაზე მეტი ფულის ძარცვა და პატიმრობა სამეგრელოს დაატყდა თავს. მათ, ვინც პრაქტიკულად თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მოგიყვანათ ქვეყნის სათავეში. გადატეხეთ სამეგრელო, როგორც საქართველოს ხერხემალი. თქვენ ხომ იცით რომ, რაც ხდება მოსაზღვრე სამეგრელოში, ცნობილია აფხაზეთში და ამის მერე თქვენ გინდათ (ან გინდოდათ) აფხაზეთის დაბრუნება? ვინ დაგიჯერებთ? დევნილები? - არა, არა! ყველასთვის ცნობილია, რომ აფხაზებს და მეგრელებს აქვთ ნათესაობრივი და საქმიანი კავშირები. თვით სამეგრელოს განადგურებაც კი დაიწყო აფხაზეთიდან, როცა ერთად მცხოვრები აფხაზები და მეგრელები შუაზე გახლიჩეს უაზრო პოლიტიკით, რასაც დღესაც აგრძელებთ და ამ ყველაფრის მერეც თქვენ ლაპარაკობთ, რომ ხართ ნაწილობრივ მეგრელი? არაფერი მეგრული თქვენ არ გაგაჩნიათ.



მამანტი ძაძამია

ისტორიას ცოდნა უნდა. რად მალავთ წარსულს, ანდა თქვენ ცუდად იცით ისტორია! კოლხეთ-სამეგრელოს ისტორია და აფხაზეთთან ურთიერთობა არის ქვეყნის ამ ნაწილის გამთლიანების საფუძვლეთა საფუძველი. თვით სახელწოდება აფხაზეთი ნიშნავს კოლხურ-მეგრულ სიტყვას (აფხა — მხარბეჭი). ასევე, ხელისუფლებისათვის თუ არის ცნობილი, რომ გამოვიდა უდიდესი ისტორიული ფასეულობის შემცველი შვიდტომეული ნაშრომი, მეგრული ენის ლექსიკა, სადაც აღწერილია მრავალი მილიონი მეგრული (ე.ი. კოლხური) სიტყვების არსებობა და წარმომავლობა.

მეგრული ენის ლექსიკა წარმოადგენს ისტორიული ქართული ენის 4-ათასწლოვან სიმდიდრეს. განა ამას დამალვა უნდა? ამას უნდა მსოფლიო აღიარება. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ მე ვარ ამ ნაშრომის თანაავტორი და გამომცემელი. მთავარი წვლილი ამ ნაშრომში მიუძღვის უპატიოსნეს მეცნიერს და მკვლევარს მამანტი ძაძამიას.

**ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით რომ დედამიწაზე იშვიათია უფრო მდიდარი ენა, ვიდრე კოლხურ - მეგრული ენა, ანუ ქართული ენაა.** სწორედ კოლხურ-მეგრული-ლაზური, აფხაზური და სვანური ენები წარმოადგენენ თანამედროვე ქართული ენის საფუძველს. ამავე დროს, საქვეყნოდ, კიდევ ერთხელ უნდა ითქვას და გაირკვეს: მეგრული (კოლხური) არის სრულყოფილი ენა, სრულყოფილი ქართული ენა. ბუნებრივია, ეს არავითარ სეპარატიზმს არ ნიშნავს, როგორც ზოგიერთ უვიცს უნდა წარმოაჩინოს, პირიქით, ეს ნიშნავს საქართველოს განუყოფელობას და მთლიანობას.

**პროტო-ქართველური — კოლხური ოთხიათასწლიანი ენის დამწერლობა დამადასტურებლად არის დამტკიცებული ფესტოსის დისკოთი, რომელიც აღმოჩენილია 1908 წ. კუნძულ კრეტაზე და იგი პირობითად დათარიღებულია ძვ.წ. აღ. 1850-1600 წწ., მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი პირველი ბეჭვდითი დოკუმენტის წარწერა - ტექსტით პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე გაშიფრა მეცნიერმა გია კვაშილავამ. დისკოს აღმოჩენით და გაშიფვრით ერთმნიშვნელოვნად მტკიცდება პროტო-ქართველების — კოლხების სახელმწიფოებრიობა, მაღალი კულტურა, დამწერლობა და ხელოვნება.** შედეგად, ევროპული კულტურის საფუძველი არა უძველესი ბერძნული კულტურა, არამედ მასზე უფრო ძველი პროტო-ქართული — კოლხური კულტურაა და ეს ფაქტიურად აღიარებულია ევროპელი მეცნიერების მიერ. ამიტომაც, რა გასაკვირია, რომ ლეგენდების მიხედვით მთელი უძველესი სამყარო (მათ შორის ცნობილი არგონავტები) მოისწრაფოდნენ განვითარებულ კოლხეთში.

კოლხეთის უმდიდრესი კულტურა და ისტორია ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოკვლეული, როგორც საქართველოს ისტორიის ნაწილი. ამას უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს მსოფლიო საზოგადოების მოზიდვისა და გათვითცნობიერებისთვის. ყოველ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიმაჩნია კოლხეთის შემსწავლელი აკადემიის ან საკვლევი ინსტიტუტის შექმნა, კერძოდ ზუგდიდში. ეს კიდევ იმისათვის არის საჭირო, რომ აფხაზეთი არის კოლხეთის განუყოფელი ნაწილი და ხელს შეუწყობს ორი ძირძველი მონათესავე ხალხის გაერთიანებას და ქვეყნის გამთლიანებას.

ევროპის, კერძოდ ინგლისის, ესპანეთის, საბერძნეთის მეცნიერები გაოცებულნი არიან ზემოთ აღწერილი აღმოჩენებით და არა ჩვენ ქართველები და მისი ხელისუფლება. ჩვენ კი გვასწავლიან და გვიჩვენებენ დამონტაჟებულ ინფორმაციას ან პიარ-კლიპებს ხელისუფლების ქმედებების გასამართლებლად და მათი პოზიციების შესანარჩუნებლად. რად გილირთ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენ და თქვენს გუნდს ისეთი ხელისუფლება, რომელიც არის შესანარჩუნებელი. რისთვის?, ფულისთვის? სიმდიდრისთვის? ლამაზი ცხოვრებისთვის? მაგრამ ამისთვის ხალხი და სახელმწიფო გასართობი სათამაშო არ არის.

ახლა კი, ბატონო პრეზიდენტო, რაც შეეხება **ტალიავინის კომისიის დასკვნას რუსეთ — საქართველოს ომის შესახებ.** ამ დოკუმენტით, სამწუხაროდ საქართველო აგრესორად არის გამოყვანილი. განცდილმა მარცხმა რა არგუნა საქართველოს? არ ვფიქრობ ჩემი სათქმელი იყოს, ბატონო პრეზიდენტო, თუ რაში გამოიხატება სახელმწიფო მეთაურის მთავარი მოვალეობა: ქვეყნის ტერიტორიის შენარჩუნებაში ან გამრავლებაში. ეს მოვალეობა თქვენ უხეშად და უკანონოდ დაარღვიეთ და ამის მერე ქვეყნის მართვა გსურთ?.. მაგრამ ამაზეც არ მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება. უბედურებაა ხელისუფლების და პირადად თქვენი მსჯელობა, იმის თაობაზე, რომ ცხინვალის თავდასხმაზე გაეცით ბრძანება, რადგან რუსეთის ჯარი მზად იდგა როკის გვირაბის მიღმა და ამით ამართლებთ საომარი მოქმედებების დაწყებას. აღმაშფოთებელი ის არის, რომ არც თქვენ და არც თქვენმა გუნდმა ისტორია (ტაქტიკაც) არ იცით, ან განზრახ აკეთებთ ამას.

გაგახსენებთ ერთ მაგალითს ისტორიიდან. სტალინმა ომი იმიტომ მოუგო ჰიტლერს, რომ არ დაუშვა შეცდომა მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში. ჰიტლერს საზღვართან ჰყავდა შეგროვილი 170 დივიზია და ყველა პროვოკაციით უჩვენებდა საომარ მდგომარეობას. მაგრამ სტალინმა, მიუხედავად დაზვერვის ცნობისა და გენშტაბის დაჟინებული თხოვნისა, საზღვართან არ მისწია არც ერთი საომარი ტექნიკა და ჯარის ქვედანაყოფები. გასცა ცნობილი ბრძანება: **გაამაგრეთ არსებული პოზიციები.** რატომ? იმიტომ, რომ ჯერ ერთი, არ დაარღვია ხელშეკრულება (რისიც, რა თქმა უნდა, არ სჯეროდა), და მეორე, რაც მთავარია, არ მისცა საშუალება ჰიტლერს განეხორციელებინა თავისი ბლიც - კრიგი (ბარბაროსის გეგმა — სწრაფად საბჭოთა ჯარის განადგურება), ვინაიდან სტალინმა გაითვალისწინა, რომ იმ სიტუაციაში დამარცხდებოდა. მთელი ჯარი დატოვა თავის ადგილზე, პროვოკაციას არ აჰყვა. საბოლოოდ, ამ ტაქტიკამ გაიმარჯვა და დამატებით გერმანიის თავდასხმა გამოიყენა თავის სასარგებლოდ ნიურბერგის პროცესზე, როგორც აგრესიული ქმედება და მიიღო მრავალი კონტრიბუცია...

თქვენ კი მსოფლიოში აღიარებული ამ ქართველი გენერალისიმუსის წინააღმდეგ გამოდიხართ და კიდევ, სტალინის ძეგლი გინდათ გორში აიღოთ. რა მკრეხელობა და უგუნურებაა.

ის ფაქტი, რომ რუსეთის ჯარმა გადააჭარბა, გადავიდა ადმინისტრაციულ საზღვარს და კიდევაც ცნო ორი ჩვენი რეგიონის დამოუკიდებლობა ადვილად გასაგები და პროგნოზირებადი იყო. აბა თქვენ რას ელოდით, ბატონო პრეზიდენტო! ვინ მისცა მათ ასეთი საშუალება? თქვენ და თქვენმა მოსყიდულმა მოღალატე გუნდმა. ფაქტი რჩება ფაქტად. როგორ და რა მოხდა სინამდვილეში, ამას უკვე მნიშვნელობა არა აქვს. აფხაზეთიდან, სამაჩაბლოდან, კოდორის ხეობიდან რომელი დევნილი დაგიჯერებთ თქვენ? ან როდის დააბრუნებთ იმათ სახლებში? ხვალ, ზეგ, ან 4 წლის შემდეგ? თქვენ ამას შეძლებთ? რა თქმა უნდა, ვერ შეძლებთ და ეს თქვენც იცით. ცოდვაა ეს ხალხი, ბატონო პრეზიდენტო და ეს ცოდვა თქვენც გაწევთ მხრებზე, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ხმას არ იღებენ, ძალიან უჭირთ. რას ერჩით ამ ხალხს? ალბათ კიდევ ერთხელ გინდათ გამოიყენოთ საარჩევნო მასალად? ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ ახალ დევნილებს „ბანაკში" ურჩევნიათ ცხოვრება? ეს „ბანაკი" ხომ სამუდამოდ აუშენეთ.

ბატონო მიხეილ, თქვენ შეგიძლიათ 100 კინოფილმი გადაიღოთ თქვენს შესახებ, მაგრამ ამით ვერ უშველით დევნილებს, ვერ გაამთლიანებთ საქართველოს და ვერც მსოფლიოში მოიხვეჭთ სახელს. ეს არის თქვენი პირადი პიარი და სხვა არაფერი! სჯობდა ფილმზე დახარჯული 40 მილიონი დოლარი დევნილებისათვის მოგეხმარათ. ხელისუფლება ფულს შოულობს ხალხისგან თავისი ძალაუფლებით და არა პირიქით. გასაკვირია ბატონო პრეზიდენტო, თქვენ განათლებული ადამიანი ბრძანდებით და ალბათ იცით რომ, არც ერთ დიქტატორს ფულმა ვერ უშველა. საერთოდ, ბატონო პრეზიდენტო, ფული იშოვეთ, მთელი მსოფლიო მოიარეთ, დაკვეთილი „ამოცანები" ძირითადად შეასრულეთ, **დროა მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება, — შეწყვიტოთ რეპრესიები, გამოაქვეყნოთ სათანადო ბრძანება, მიმართოთ ხალხს, მისცეთ საშუალება გააკეთონ თავისი არჩევანი, დანიშნოთ ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები.** ამით შეინარჩუნებთ თავისუფლებას და ასევე გადაარჩენთ თქვენს გარემოცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ ვერ გადაურჩებით ხალხის რისხვას და იქნებით მუდამ დევნილი. მე არა ვარ ამის მომხრე, არავის გვინდა არეულობა! მაგრამ მუქარის გარეშე გეტყვით, რომ ასეთი ბოლო გარდაუვალია! დამიჯერეთ, არც დასავლეთი და არც აღმოსავლეთი ვერ გიშველით, არც ვაი-მეგობრები, რომლებიც თქვენ პირველივე წუთზე დაგტოვებენ. თქვენ თვითონ იტვირთეთ თავზე სრული პასუხისმგებლობა და თუ დროულად არ მიიღებთ სწორ გადაწყვეტილებას, თქვენ განწირული ხართ!

ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ხალხი გაპატიებთ. მე თქვენ არ გაშინებთ და არც თქვენი მეშინია, უბრალოდ, გაფრთხილებთ, როგორც საკმაოდ გამოცდილი სახელმწიფოებრივი ისტორიის მცოდნე, რიგითი ქართველი და მოქალაქე.

და ბოლოს, ჩემო ძვირფასო ხალხო, გააკეთეთ ის რასაც გრძნობთ, ხედავთ და არა რასაც გეუბნებიან. მთავარია რწმენა. გაერთიანდით, გამოდით უსამართლობის წინააღმდეგ. დაიცავით ერთმანეთი, დაიცავით სამშობლო, ის თქვენ გეკუთვნით.

**ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მდიდარი ერის დამონება შეუძლებელია.**

**გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!**



**ფესტოსის დისკოს აღმოჩენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილენი: ნიკოლას რიდი, ედუმუნდ მერიძი, გია კვაშილავა, მარკ შერონი, ჯერომ აიზენბერგი და სხვები. ლონდონის სიძველეთა შემსწავლელი საზოგადოებათა დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემია.**

ფოტო ჯ. სატონის (ძველი ხელოვნებისა და არქეოლოგიის საერთაშორისო ჟურნალი „მინერვა", www.minervamagazine.com)

**პოლიტპატიმარი,**
**სამართლის დოქტორი**
**აკადემიკოსი**

**ვლადიმერ ვახანია**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სერგეი ბაღაფშს მხარდაჭერილ კონკურენტებთან შეჯახება მოუწევს

**აფხაზეთში მთავრდება რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია. არჩევნები 12 დეკემბერს პირველად ეწყობა რუსეთის მიერ მხარდაჭერილ აფხაზეთში. მაგრამ პროგნოზების მიუხედავად, რაც უალტერნატივო არჩევნებს ვარაუდობდა, კანდიდატების სია, რომლებიც რეგისტრაციაში გაატარა აფხაზეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, მოწმობს საპირისპიროს – ხუთი კანდიდატიდან მინიმუმ სამს აქვს სერიოზული ელექტორალური მხარდაჭერა. და როგორც ჩვენმა კორესპონდენტმა გამოარკვია, ამ მხარდაჭერამ შეიძლება მოქმედ პრეზიდენტს სერგეი ბაღაფშს წაართვას გამარჯვება თუ პირველ ტურში არა, მეორეში მაინც.**

პირველი დარეგისტრირებული კანდიდატი გახდა ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რუალ ხაჯიმბა, რომელიც მომავალი არჩევნებისთვის მზადებას შეუდგა ოფიციალურ სტარტამდე დიდი ხნით ადრე. ჯერ კიდევ მაისში ის გადადგა, სექტემბერში საქართველო-აფხაზეთის ომის ვეტერანთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მესამე ყრილობაზე განაცხადა, რომ განზრახული აქვს მიაღწიოს, რათა საარჩევნო კანონმდებლობაში შეიტანონ ცვლილებანი „მოქალაქეთა ნების თავისუფალი გამოვლინების სასარგებლოდ“. ბატონ ხაჯიმბას აზრით, 2004 წლის არჩევნებმა აჩვენეს, რომ საზოგადოება გათიშულია და იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ახალი სამოქალაქო დაპირისპირება, ხელისუფლებამ უნდა მოაწყოს არჩევნები უფრო გამჭვირვალედ. ამ გამჭვირვალეობის მთავარი პირობა, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის აზრით, უნდა იყოს აფხაზეთის მოქალაქეობა. „ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც იძლევა ხმის მიცემაში მონაწილეობის უფლებას, უნდა იყოს აფხაზური პასპორტი“, – განაცხადა მაშინ ბატონმა ხაჯიმბამ, რომელსაც მიაჩნია, რომ აფხაზური პასპორტების მფლობელთა კონტროლი უფრო ადვილია. ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირეს ვეტერანებმა და პარლამენტს მოუწია შეეტანა შესაბამისი ცვლილებები კანონში. ამის გარდა შეტანილ იქნა კიდევ ერთი შესწორება, რომელიც ითვალისწინებს ამომრჩევლის პასპორტების მარკირებას.

ბატონი ხაჯიმბას წინადადება ბევრმა შეაფასა, როგორც დარტყმა პრეზიდენტ ბაღაფშის პოზიციებზე, მანამდე ხომ აფხაზეთის პასპორტები არ ჰქონდათ მიღებული მხოლოდ გალის რაიონის მცხოვრებლებს, რომლებიც პოტენციურად სერგეი ბაღაფშის ელექტორატად ითვლებოდნენ. 2004 წელს ამ რაიონში ხმა მისცა 14 ათასმა ამომრჩეველმა, მათგან 86 პროცენტმა თავისი ხმა მას მისცა. მაშინ ამ ფაქტმა სერიოზულად გაართულა კანდიდატის მდგომარეობა, რომელსაც ბრალი დასდეს პროქართულ ორიენტაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ბაღაფშის პოპულარობის მიზეზად გალსა და ოჩამჩირეში ექსპერტები მიიჩნევდნენ სრულიადაც არა პროქართულ განწყობილებას, არამედ იმას, რომ იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი და ადგილობრივ მცხოვრებლებს იგი ახსოვთ ჯერ კიდევ იმ დროიდან.

„დღესაც გალის რაიონის მცხოვრებლები წავიდოდნენ ბაღაფშისთვის ხმის მისაცემად, მიუხედავად იმისა, რომ სიტუაცია აქ შეიცვალა, – მიაჩნია ექსპერტ ინალ ხაშიგს, – მაგრამ ხაჯიმბამ გადაწყვიტა თავი დაიზღვიოს. ეჭვი არ არის, რომ გადაწყვეტილება კანონში ცვლილებების შესახებ ბაღაფშის წინააღმდეგ არის მიმართული“. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება არ წასულა შესწორებების წინააღმდეგ და მხარიც კი დაუჭირა მათ. ერთ-ერთი აფხაზი ჩინოვნიკის სიტყვებით, „ბაღაფშს არაფრის არ უნდა ეშინოდეს, მისი რეიტინგი ისედაც მაღალია. ამ შესწორებების წინააღმდეგ წასვლა კი ნიშნავს გაალიზიანო საზოგადოებრიობა და შექმნა საბაბი ახალი საყვედურებისთვის“. ამ საყვედურების თავიდან ასაცილებლად ხელისუფლებამ გალის რაიონის პასპორტიზაციაც კი შეაჩერა. როგორც გალის რაიონში აფხაზეთის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსლან ქიშმარიამ განაცხადა, ადგილობრივ მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი ვერ შეძლებს მიიღოს მონაწილეობა ხმის მიცემაში, მაგრამ „ეს არსებითად გავლენას არ იქონიებს არჩევნების შედეგებზე“.

მოქმედი პრეზიდენტის შანსები მართლაც უფრო მაღალია, ვიდრე ნებისმიერი სხვა კანდიდატისა ცალ-ცალკე. ამაზე უწინარეს ყოვლისა გავლენა აქვს იმას, რომ სწორედ სერგეი ბაღაფშის დროს აღიარა აფხაზეთი რუსეთმა, მაშასადამე, სწორედ მის სახელთან არის დაკავშირებული რესპუბლიკაში გარკვეული ეკონომიკური ზრდაც, რომელიც დაიწყო ამ აღიარების შემდეგ. მაგრამ, ადგილობრივი ექსპერტების აზრით, აფხაზეთის ოპოზიცია გაერთიანების შემდეგ შეძლებს აღმოჩნდეს სერგეი ბაღაფშზე უფრო ძლიერი. რაულ ხაჯიმბას გარდა, რომელიც ეყრდნობა ომის ვეტერანებსა და ძველი ელიტის ნაწილს და რომელიც სათავეში უდგას ოპოზიციის რადიკალურ ფრთას, ბატონ ბაღაფშს ჰყავს არა ნაკლებად სერიოზული კონკურენტები – ესენი არიან ზომიერი ოპოზიციის ლიდერი, ცნობილი ბიზნესმენი ბესლან ბუტბა, რომელიც ფლობს რესტორნების, სასტუმროების ქსელს, აგრეთვე ტელეარხს „აბაზა ტვ“, და სახელმწიფო საწარმოს „აფხაზეთის საზღვაო სანაოსნოს“ ხელმძღვანელი ზაურ არძინბა. თითოეული ეს კანდიდატი ეყრდნობა სოლიდურ ბიუჯეტსა და ბიზნეს სტრუქტურის მხარდაჭერას. „ეჭვი არ არის, პირველ ტურში გაიმარჯვებს ბაღაფში, – მიაჩნია ინალ ხაშიგს, – მაგრამ მე დარწმუნებული არა ვარ, რომ მას ხმები ეყოფა საბოლოო გამარჯვებისთვის. ხოლო თუ იქნება მეორე ტური, მაშინ კანდიდატები ოპოზიციიდან ალბათ გაერთიანდებიან და ამ შემთხვევაში არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცნობა რთული იქნება“.

გასულ ოთხშაბათს კანდიდატმა რაულ ხაჯიმბამ ლამის გამოაცხადა კოალიციის შესახებ ზაურ არძინბასთან – ორ ერთობლივ შეხვედრაზე ამომრჩევლებთან მათ განაცხადეს, რომ არჩევნებზე მიდიან ერთ გუნდად. ეს ალიანსი შეიძლება ყოფილიყო უფრო სიცოცხლისუნარიანი, მისი საფუძველი ხომ კანდიდატ ხაჯიმბას პოპულარობა და ბატონ არძინბას ფინანსური სიმდიდრეა. კოალიცია უნდა შეექმნათ ხალხის ერთიანობის ფორუმის ყრილობაზე, მაგრამ ხუთშაბათს ყრილობა გადაიდო, ზაურ არძინბა კი გატარდა რეგისტრაციაში აფხაზეთის პრეზიდენტობის კანდიდატად. აფხაზეთის მთავრობაში გვაცნობეს, რომ ალიანსის შექმნას ხელი შეუშალა მონაწილეთა ამბიციებმა: „ხაჯიმბას ერთმნიშვნელოვნად სურდა გამხდარიყო პრეზიდენტი, არძინბას კი განეკუთვნებოდა ფულის ტომრის როლი, ასეთი განლაგება კი მიუღებელი იყო“.



დიდია აგრეთვე კანდიდატების ხაჯიმბას და ბუტბას შორის კოალიციის შექმნის ალბათობაც. ჯერ კიდევ ზაფხულში რადიკალური და ზომიერი ოპოზიციის წარმომადგენლები ცდილობდნენ შეექმნათ კოალიცია. ისინი ერთნაირი კრიტიკით გამოდიოდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ, ბრალს სდებდნენ სერგეი ბაღაფშს აფხაზეთისთვის არახელსაყრელი გარიგების დადებაში რუსეთთან და უუნარობაში დაიცვას აფხაზების ეროვნული ინტერესები, რომლებიც შეიძლება მთლიანად ჩაყლაპოს რუსეთმა. მაგრამ სოხუმში რუსეთის პრემიერის ვლადიმერ პუტინის აგვისტოს ვიზიტის შემდეგ, ოპოზიციის ლიდერებს შორის შეკამათება მოხდა: მაშინ პრემიერ პუტინთან შეხვედრის დროს, რომლის პროგრამაშიც შედიოდა აფხაზეთის პრეზიდენტთან და ოპოზიციასთან ურთიერთობა, მიიწვიეს მხოლოდ ბატონი ხაჯიმბა, რაც ბატონმა ბუტბამ აღიქვა, როგორც კონკურენტის ხრიკები. მიუხედავად ამისა, ექსპერტები, რომლებიც წინასწარმეტყველებენ არჩევნების მეორე ტურს, დარწმუნებული არიან პირველი ტურის შედეგებით ორივე კანდიდატს შეუძლია მონახოს საერთო ენა.

მაგრამ ამჟამინდელ კამპანიაში, ისევე როგორც 2004 წლისაში, მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება გახდეს მასში კრემლის მონაწილეობა. დღეს აფხაზეთში გაბატონებულია აზრი, რომ პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი მხარს უჭერს სერგეი ბაღაფშს, რომელთანაც უკანასკნელი წლის განმავლობაში მოსკოვმა დადო მეტად ხელსაყრელი შეთანხმებანი თავისთვის, მათ შორის სტრატეგიულებიც, რომლებიც ამართლებენ რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნას აფხაზეთ-საქართველოს საზღვარზე. ამავე დროს ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ პრემიერი პუტინი მხარს უჭერს რაულ ხაჯიმბას, როგორც ეს იყო 2004 წლის არჩევნების დროს. „პუტინის შეხვედრამ ხაჯიმბასთან აჩვენა, რომ რუსეთის პრემიერი ძველებურად მხარს უჭერს ამ კანდიდატს უბრალოდ იმ მიზეზის გამო, რომ მას არ უყვარს, როცა მის ფსონებს ხსნიან, – მიაჩნია ინალ ხაშიგს. – სხვაგვარად როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ პირველად თავისი მმართველობის წლებში პუტინი თავისი ვიზიტის დროს მეგობრულ ქვეყანაში ხვდება არა მხოლოდ მის ხელისუფლებას, არამედ ოპოზიციასაც“. თანაც ხაჯიმბასთან შეხვედრა მოხდა პრეზიდენტის სასახლეში დახურულ კარს მიღმა, ზუსტად 100 მეტრის დაშორებით ბაღაფშის კაბინეტიდან, რასაც არ შეიძლებოდა არ გაელიზიანებინა იგი“. მაგრამ, ექსპერტის აზრით, 2004 წლის კრიზისი აფხაზეთში ძნელად რომ განმეორდეს: „ყველამ იცის, რომ მოსკოვის სხვადასხვა სტრუქტურა მხარს უჭერს სხვადასხვა კანდიდატს აფხაზეთში, მაგრამ ვინც უნდა მოვიდეს აფხაზეთის ხელისუფლებაში, იგი განწირულია მოსკოვთან თანამშრომლობისთვის“.

ოლგა ალიონოვა

Коммерсантъ

## დედამიწის ზურგზე



**თეირანი აღარ იქნება ირანის დედაქალაქი, გადაწყვიტეს სეისმოლოგებმა და პოლიტიკოსებმა**

ირანის დედაქალაქის მომავალი გადატანის ოფიციალურ მიზეზად ასახელებენ რაიონის სეისმოსაშიშროებას, სადაც ამჟამად იმყოფება თეირანი. სხვა ვერსიით, ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა მასობრივი საპროტესტო აქციები უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების წინააღმდეგ.

* * *

**ბილ კლინტონმა კოსოვოში გახსნა თავისი „ოქროს“ ძეგლი – ბელგრადის დაბომბვისთვის**

სამმეტრიანი მონუმენტი დაიდგა ბულვარში, რომელსაც ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის სახელი მიანიჭეს იმის სამადლობელოდ, რომ მან „გაათავისუფლა“ კოსოვო ნატოს სამხედრო ოპერაციის დროს ყოფილი იუგოსლავიის წინააღმდეგ.

* * *

**ყირგიზეთის პრეზიდენტი თავის შვილს ამზადებს: უმცროსმა ბაკიევმა კონტროლი მიიღო საფინანსო ნაკადებზე**

ამას წინათ ყურმანბეკ ბაკიევმა დაიწყო სახელმწიფო აპარატის რეფორმა. უშიშროების საბჭო და საგარეო საქმეთა სამინისტრო ემორჩილება მას, პრეზიდენტის უმცროსი შვილი კი გახდა განვითარების ცენტრალური სააგენტოს ხელმძღვანელი. ოპოზიცია ბრალს სდებს ბაკიევს მონარქიულ წამოწყებებში.

* * *

**უკრაინა გრიპთან ბრძოლაში საერთაშორისო დახმარებას ითხოვს**




ერთი კვირის განმავლობაში ქვეყანაში დაიღუპა 53 კაცი, მათ შორის 4 ექიმი. „არსებობს უკრაინის ეროვნული უშიშროების საფრთხე“, – განაცხადა ვიქტორ იუშჩენკომ. უკრაინა დახმარებას სთხოვს 8 ქვეყანას, მათ შორის რუსეთსაც.

* * *

**ექსპერტებს არ ჯერათ, რომ რუსები, რომლებიც ჩინეთში ზვავში მოყვნენ, გადარჩებიან**

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ თოვლის ქვეშ ადამიანს შეუძლია იცოცხლოს მხოლოდ ორი საათი. მიუხედავად ამისა, ორ ტურისტს ჯერჯერობით უგზოუკვლოდ დაკარგულად მიიჩნევენ – ესენი არიან ბლაგოვეშჩენსკის მცხოვრებლები იგორ შერსტნერი და ანფისა კრაშენინა. მაშველები ჯერ ვერ მივიდნენ ადგილამდე, სადაც შეიძლება იმყოფებოდნენ ტურისტები.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო აშშ-ს მოუწოდებს მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩრდილოეთი „თავისი გზით“ წავა**

როგორც უცხოელი მიმომხილველები ვარაუდობენ, საკითხი შეეხება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის კურსს ბირთვული არსენალის შემდგომ ზრდაზე. ფხენიანში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ 24 ოქტომბერს ნიუიორკში გამართულ მაღალი რანგის დიპლომატების შეხვედრას არ განიხილავენ, როგორც მზადებას ორმხრივი მოლაპარაკებისთვის. „დადგა დრო, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღოს თამამი გადაწყვეტილება“.

* * *

**ქოქოსის კუნძულების სანაპიროზე გემი ჩაიძირა: დაახლოებით 25 კაცი უგზოუკვლოდ დაიკარგა**

იმ ადგილის მახლობლად, სადაც გემი ჩაიძირა, ბაჰამის კუნძულებიდან მოდიოდა სავაჭრო გემი. მისმა ეკიპაჟმა შეძლო გადაერჩინა 15 კაცი. უცნობია, თუ რა მიზნით მიდიოდა ჩაძირული გემი ავსტრალიაში. მასზე შეიძლება ყოფილიყვნენ ლტოლვილები, რომლებიც ეძებდნენ პოლიტიკურ თავშესაფარს.

* * *

**ამერიკის ელექტრონული ტექნიკის მაღაზიაში ოთხი კაცი დახვრიტეს**

მსროლელის ორი მსხვერპლი ადგილზე დაიღუპა. ორი დანარჩენი საავადმყოფოში გარდაიცვალა, ექიმებმა ვერ შეძლეს მათი გადარჩენა.



პოლიციამ უკვე წამოაყენა ბრალდება ვინმე მარკოს ჩავეს გონსალესის წინააღმდეგ, რომელიც ეჭვმიტანილია ამ დანაშაულებში. იგი შეიარაღებულია ავტომატით და პოლიციამ ჯერჯერობით ვერ შეძლო მისი დაჭერა.

სამშობლოს განცდა

# ანაიდა ბესტავაშვილი: ჩემი მთავარი ბედნიერება და სიმდიდრე საქართველოა...

(მეხუთე გვერდიდან)

**— როგორ აღმოჩნდით მოსკოვში?**

— სკოლისა და ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ერთი წელი ვისწავლე და საქართველოს მწერალთა კავშირმა მოსკოვის გორკის სახელობის ლიტერატურულ ინსტიტუტში მიმავლინა (სპეციალობა – ქართულიდან თარგმანი). ძალიან გამიმართლა, რადგანაც ჩემი ხელმძღვანელი ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის მეგობარი, შესანიშნავი მთარგმნელი („დიდოსტატის მარჯვენა“) ფატმა თვალთვაძე გახლდათ; ასევე გამოჩენილი რუსი პოეტი და მთარგმნელი ლევ ოზეროვი, რომელიც ჯერ კიდევ ვერცხლის საუკუნის პოეტებს მოესწრო. მე მათ შესახებ ბევრს ვწერდი და ვერასოდეს დავივიწყებ. როცა მოსკოვში ვსწავლობდი, მე არა თუ დავკარგე, არამედ პირიქით, საქართველოსთან კავშირების კიდევ უფრო მეტად გამყარებას შევეცადე. თბილისში ზაფხულის არდადეგების განმავლობაში საქართველოს კულტურის შესახებ ლექციებს საუკეთესო სპეციალისტები გვიკითხავდნენ: ელენე ვირსალაძე (ფოლკლორი), სოლომონ ხუციშვილი (კლასიკური ლიტერატურა), ბესარიონ ჟღენტი (XX საუკუნე), ვახტანგ ბერიძე და ალექსანდრე ჯავახიშვილი (არქიტექტურა, კულტურა, ფერწერა). ყოველ წელს ჩემს ხელმძღვანელებთან ერთად საქართველოს კუთხე-კუნჭულს მოვივლიდით, ვეცნობოდით ძველ ძეგლებს, ეთნოგრაფიას, სახალხო შემოქმედებას. თავისი ერთ-ერთი ლექციის დროს (ჯგუფში 6 ადამიანი ვიყავით) ცნობილმა კრიტიკოსმა ბესო ჟღენტმა გვკითხა: „თქვენ იცით, რომ ტიციან ტაბიძის დაპატიმრების შემდეგ, მაჩაბლის 9-ში, მწერალთა სახლის სწორედ ამ კაბინეტში პაოლო იაშვილმა НКВД-ის უწყების მიღების შემდეგ თავი მოიკლაო?“ ასე გავიგეთ ნამდვილი ამბავი, რომელიც არ ჰგავდა იმ პროპაგანდასა და სიცრუეს, რომელიც ყველა მხრიდან ილვრებოდა, განსაკუთრებით, სსრკ-ის დედაქალაქიდან. სწორედ ამიტომ, ქართველ მთარგმნელთა ჩვენმა ჯგუფმა 1958 წელს ქართული პოეზიის მთარგმნელი-კლასიკოსის, ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი მეგობრის, ბორის პასტერნაკის დევნის დროს დიდი პოეტის შეურაცხმყოფელ წერილზე ხელის მოწერასთან დაკავშირებით კატეგორიული უარი განაცხადა. ჩვენ არ ვმონაწილეობდით სამარცხვინო პლაკატებიან „გავაძევოთ იუდა პასტერნაკი რუსეთიდან“ სვლებში; ჩვენ არ ვითხოვდით, როგორც სხვა შეშინებული სტუდენტები, მწერალთა კავშირიდან მომავალი ნობელის პრემიის ლაურეატის გარიცხვას.

**— ვიცი, რომ ცნობილ ქართველ მწერლებთან ერთად მუშაობდით...**

— 1963 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თბილისში დავბრუნდი და მუშაობა იმ ცნობილ გამომცემლობაში დავიწყე, რომელმაც თავისი გრძელი ისტორიის განმავლობაში არაერთხელ შეიცვალა სახელწოდება: „ზარია ვოსტოკა“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „მერანი“. რედაქტორობის გარდა აქტიურადაც ვთარგმნიდი. მოვალეობა მემუშავა უფროსი თაობის ისეთ გამოჩენილ მწერლებთან, როგორებიც არიან გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, დემნა შენგელაია, სერგო კლდიაშვილი და სხვები. სწორედ მაშინ გადავთარგმნე XIII-XV საუკუნის ქართული ეპოსი „რუსუდანიანი“, რომელიც მოგვიანებით მოსკოვში და თბილისშიც გამოიცა. მაგრამ იმ წლებში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ახალი ტალღის ლიტერატურა იყო. თამაზ ჭილაძის, არჩილ სულაკაურის, ედიშერ ყიფიანის, გურამ გეგეშიძის, სულ დაახლოებით 30 ავტორის მოთხრობები და რომანები დღესაც სავსებით აქტუალურია. ისინი არა მარტო ჩემი საყვარელი ავტორები არიან, არამედ ჩემი ძვირფასი და დიდი მეგობრები. ჩემი რუსული თარგმანებიდან მათი პროზა მსოფლიოს 40 ენაზე აჟღერდა. ეს ჩემი ყველაზე დიდი სიმდიდრეა. სამწუხაროდ, ბევრ მათგანზე წარსულში მიწევს საუბარი, მათ შორის 2009 წლის 1 ოქტომბერს გარდაცვლილ კლასიკოსზე, დიდ პოეტსა და პროზაიკოსზე ოთარ ჭილაძეზე.

**— ოთარ ჭილაძის თარგმანებზე ვისთან ერთად მუშაობდით?**

— მისი ლექსებისა და პოემების თარგმანზე ახმადულინას, ევტუშენკოს, ლეონოვიჩის, ნატალია სოკოლოვსკაიასთან და სხვებთან ერთად ვმუშაობდი. ქართულ და რუსულ პრესაში მასზე ბევრს ვწერდი, გადავთარგმნე მისი პირველი რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. ჩვენ მეგობრობის ნახევარი საუკუნე გვაკავშირებს. მისი ხელოვნება ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდია.

**— ვიცი, რომ თქვენ ფაზილ ისკანდერთანაც დიდი ხნის მეგობრობა გაკავშირებდათ...**

— 1967 წელს მოსკოვში დავბრუნდი, რათა ლიტერატურული ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩამებარებინა. 1968-ში კი ფაზილ ისკანდერთან ერთად მთარგმნელთა ქართულ-აფხაზურ ჯგუფს ვხელმძღვანელობდი. არანაირ სეპარატიზმზე, არანაირ მტრობაზე აფხაზებსა და ქართველებს შორის საუბარიც კი არ იყო. მაგრამ რუსეთის პოლიტიკამ თავისი საქმე გააკეთა და საქართველოს მისი ძირძველი ტერიტორიები წაართვა. 1989 წელს ფაზილ ისკანდერი სეპარატისტებს თავად გაემიჯნა, საქართველოს ცეკა-ს 7 დეპეშა გაუგზავნა, რომელთაგანაც მხოლოდ ბოლო გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“, ისიც ჩემი დაჟინებული მოთხოვნით. კრემლის ყალბი მუსიკის ქვეშ მოცეკვავე აფხაზი ლიდერები ისკანდერისგან ე.წ. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის დროშის შექმნას შეეცადნენ. ღრმად ვწუხვარ, რომ 2008 წლის აგვისტოში მე მისი გვარი საქართველოს შეურაცხმყოფელი, სამარცხვინო წერილის ხელმომწერთა შორის აღმოვაჩინე. ეს წერილი შეთითხნილი იყო ЦК КПСС-ის ქვეშ, მაგრამ უჭკნობი წევრებისა და КГБ-ФСБ გულადი ორგანოების მიერ.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ იორკი-მოსკოვი**

(დასასრული იქნება)

პრობლემა

# ფინანსური დახმარებები მოდის, დევნილს კი მაინც უსაშველოდ უჭირს

**იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების მოგვარებაზე ზრუნავს სახელმწიფო, არასამთავრობო ორგანიზაციები, უამრავი ფონდი, მაგრამ მაინც ბევრი საკითხია ჯერ კიდევ მოუგვარებელი.**

**1008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში გამართულ დონორთა კონფერენციაზე საქართველოს 4,55 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის დახმარებას დაჰპირდნენ აგვისტოს ომის მძიმე შედეგებისაგან თავის დასაღწევად. ამ თანხიდან დაახლოებით 2,55 მილიარდი გრანტებზე მოდის. ამ თემასთან დაკავშირებით უამრავი კითხვა ჩნდება. კერძოდ, თანხის რა ნაწილია გადმორიცხული, რამდენია დახარჯული, ვინ განკარგავს მას და ა. შ.**

წერილში მოყვანილი ყველა ციფრობრივი მონაცემი ორგანიზაცია **„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“**-სგან მივიღე, რომელიც სამხედრო კონფლიქტის შემდეგ საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების მონიტორინგს 2008 წლის სექტემბრიდან ანხორციელებს. კონფლიქტმა სახელმწიფო ხარჯების უეცარი და დაუგეგმავი ზრდა გამოიწვია. საჭირო გახდა საქართველოს მთავრობის საბიუჯეტო დახმარების გაწევა. საქართველოს მთავრობას დახმარების სახით 250 მილიონი დოლარი გამოეყო. ეს გრანტი დაფარავს საქართველოს ბიუჯეტის ხარჯებს და მოხმარდება სახელმწიფო პენსიებს, სახელმწიფო კომპენსაციებს და სახელმწიფო აკადემიურ სტიპენდიებს (163,3 მილიონი დოლარი); ჯანდაცვის ხარჯებს იმ მოსახლეობისთვის, ვინც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს (26,1 მილიონი დოლარი); აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთათვის დახმარების გაცემას (6,1 მილიონი დოლარი), სკოლების დახმარების სავაუჩერო სისტემის მეშვეობით ერთ მოსწავლეზე გათვლით (24,2 მილიონი დოლარი) და სახელმწიფო მოხელეებისთვის გასაცემ კომპენსაციებსა და ხელფასებს, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გარდა (30,3 მილიონი). დამატებით 350 მილიონი – ძველი და ახალი იძულებით გადაადგილებული პირების მუდმივი საცხოვრებლებით უზრუნველყოფისათვის გამოიყოფა.

არასამთავრობო ორგანიზაციებს და სამთავრობო სტრუქტურებს ვერ სტუმრე კონკრეტული პროექტების დასადგენად და თანხის მიზნობრივად ხარჯვის მოსაძიებლად. პირველად ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მივაშურე. ჩემი მთავარი შეკითხვა ასეთი იყო: მიიღეთ თუ არა გრანტი და როგორ დახარჯეთ? სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა მარიანა ნანობაშვილმა გვითხრა, რომ გრანტებთან არავითარი შეხება არა აქვთ.

**ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლის ქეთინო არღვლიანის** განმარტებით, სტუდენტები სახელმწიფოსგან ადრეც ფინანსდებოდნენ, მაგრამ შარშან დამატებით, რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული და კოდორის ხეობელი აბიტურიენტები, რომლებმაც ეროვნული გამოცდები ჩააბარეს, სრულად დააფინანსეს, თუმცა ეს ერთწლიანი პროგრამა იყო. ერთი ცვლილებაც არის: ყველა ლტოლვილს ავტომატურად მიანიჭეს სოციალურად დაუცველის სტატუსი, აქამდე მხოლოდ გარკვეულ პროცენტს ჰქონდა ეს სტატუსი. ამ თვალსაზრისით სტუდენტებსაც გარკვეულწილად აფინანსებენ და სკოლის მოსწავლეებს წიგნებით უზრუნველყოფენ.



შარშან ყველაზე დიდი თანხა – 291 მილიონი დოლარი ეკონომიკის მხარდაჭერის პროექტებზე გამოიყო. აქ ინფრასტრუქტურის, მუნიციპალური განვითარებისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტები გაერთიანდა. 80 მილიონი გზებზე დაიხარჯა. **ფონდი „ტასო“ ზრუნავს სამოქალაქო საზოგადოების გასააქტიურებლად.** მათი ხელშეწყობით შეიქმნა კარალეთის ქალთა ცენტრი, რომლის მიზანია ქალთა როლის გაძლიერება სათემო განვითარებისთვის და ქალთა უფლებების განსახორციელებლად. მცირე ბიზნესის საწარმოებლად შემოსული პროექტები დაფინანსდა გორის რაიონის ცხრა სოფელში: ტყვიავში, ტირძნისში, კარალეთში, გუგუტიანთკარში, ვარიანში, ქვემო ნიქოზში, არადეთში, დირბში და დვანში.

**ფონდ „ტასოს“ წარმომადგენელი ქეთი ჟორდანია:** ქალებმა მუშაობა დაიწყეს, ხელშეკრულებები გაფორმებულია, თანხები დარიგებულია. მონიტორინგს სისტემატურად ვატარებთ. კარალეთის ცენტრის დაარსება ევრაზიის ფონდის ხელშეწყობით მოხდა. სამუშაო პერიოდი ერთ წელს მოიცავს. ჩვენი მიზანია მომავალში სოციალურად აქტიური ქალების რიცხვი გაიზარდოს, მათ ადგილობრივ თვითმმართველობასთან ითანამშრომლონ და თავად შექმნან არასამთავრობო ორგანიზაცია.

გვესაუბრება **ნატო ზაზაშვილი, კავშირ „საფარის“ და წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრიდან:** 11 აგვისტოს ჩავერთეთ კრიზისული ინტერვენციის პროცესში. ვმუშაობდით გორის კარვების ქალაქში და დღესაც ვაგრძელებთ დევნილთა ფსიქოსოციალურ და სამედიცინო რეაბილიტაციას. პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში მატულობს ოჯახში ძალადობის ინტენსივობა და ამიტომ „საფარის“ ძირითადი ბინადრები დაზარალებულებს შორის ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი არიან. დიდ დროს ვუთმობთ ბავშვებთან მუშაობას, ასევე განსაკუთრებული აქცენტი გვაქვს ფსიქოლოგიურად მძიმედ ტრავმირებულ პაციენტებზე. მალე დავიწყებთ ტრეინინგების სერიას გორში და თბილისში, რომელიც ამერიკის საელჩომ დააფინანსთა...

**ნინო კვესაძე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების უფლებების დაცვისა და სოციალური დახმარების კავშირი:** 90-იანი წლების დასაწყისში საქველმოქმედო ორგანიზაცია დავაარსე. საკუთარ თავზე გამოვცადე აფხაზეთის ტრაგედია, 1989 წელს აფხაზებს და ქართველებს შორის პირველი შეტაკების დროს დაიღუპა ჩემი ერთადერთი ვაჟი. მთელი საქართველოს მასშტაბით ვეწეოდი ქველმოქმედებას, მერე არასამთავრობო ორგანიზაციად ჩამოვყალიბდით. ჩვენი კანონშემოქმედებითი მუშაობის შედეგია ლტოლვილებისთვის შეღავათების კანონის მიღება. პენსიების დანიშვნის საკითხი ბევრისთვის დღესაც მოუგვარებელია. ამ მიმართულებითაც ბევრი სამუშაო შევასრულეთ. მჭიდრო და აქტიური ურთიერთობა გვაქვს აფხაზ შვილდაღუპულ დედებთან. ევროკავშირის წარმომადგენლებს კარგი პროექტი ჰქონდათ, რომელიც ჩვენი, აფხაზეთის და სამაჩაბლოს არასამთავრობოების კონტაქტებს ითვალისწინებდა. ფინანსები მოგვცეს და დავიწყეთ კიდეც მუშაობა, თუმცა ამჟამად პროექტი შეჩერებულია. დღესაც ვაგრძელებთ აფხაზეთში დაღუპული ბიჭების მოძიებას და გადმოსვენებას. არასამთავრობო ორგანიზაცია შუამავალია ხალხსა და მთავრობას შორის, ჩვენ ხალხის ენით ვსაუბრობთ.

**საქართველოს დახმარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტის ზურაბ მურვანიძის** აზრით, დღეს მხოლოდ ის არასამთავრობო ორგანიზაციები ფინანსდებიან, ვინც მთავრობასთან არიან გაიგივებული: – ჩემი ღრმა რწმენით, ის ჰუმანიტარული და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დაკავებული არიან პოლიტიკით, პოლიტოლოგიით, ადამიანის უფლებების დაცვით, შეიძლება კარგ საქმეს აკეთებენ, მაგრამ ისინი არ მიმაჩნია ჰუმანიტარულ ორგანიზაციებად. ჩვენ ახლაც ვამუშავებთ რამდენიმე პროექტს, მაგრამ ძალიან ძნელია დონორის მოძებნა. ფონდის წევრებმა საკუთარი ინიციატივით მოვაგროვეთ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სხვა ნივთები და რამდენიმე ადგილზე ჩავუტანეთ ლტოლვილებს. ჯერ კიდევ პარლამენტში ყოფნისას ვამბობდი, რომ აუცილებელია ჰუმანიტარული დახმარების დაბეგვრის შეღავათიანი კანონი და ამას, ახლაც ვიმეორებ. მაშინ, ჩვენი ბიზნესმენებიც უფრო ხელგაშლილები იქნებიან.

2009 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, 54 მილიონი დოლარის გამოყოფა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად წარმატებულად დაასრულებს საქართველოს მთავრობა მიმდინარე პროექტებს, კიდევ 81 მილიონი იძულებით გადაადგილებულ პირებზე უნდა დაიხარჯოს, თუმცა კონკრეტულად რისთვის, ჯერ განსაზღვრული არ არის. ფინანსთა სამინისტრო აკონტროლებს დახმარების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც სახელმწიფო სექტორისთვის არის განკუთვნილი. კერძო სექტორისთვის (საბანკო სექტორი, სხვა ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციები) ჩარიცხული თანხები მონაცემთა ბაზაში მითითებული არ არის.

ოცამდე ლტოლვილსაც გავესაუბრე. მიუხედავად იმისა, რომ სახელს და გვარს არ ვეკითხებოდი, ბევრი მათგანი მაინც გაურბოდა საუბარს. უმრავლესობის განწყობა ასეთი იყო – ამ დაქცეულმა ქვეყანამ რა პირობებიც შეგვიქმნა, ესეც საკმარისია, თუმცა სხვა რა გზა გვაქვსო. ამ ხალხს მატერიალურ დახმარებასთან ერთად სულიერი თანადგომაც სჭირდება, რაც ნებისმიერმა მოქალაქემ შეიძლება გაიღოს.

**ნანული ზოტიკიშვილი**

ხელბურთი



# „ჩელენჯ ტროფის“ ფინალში გავიდნენ

**საქართველოს ხელბურთელებმა შარშან „ჩელენჯ ტროფის“ ტურნირი მოიგეს. წლეულს ტიტულის დასაცავად მერაბ მეტრეველის თავკაცობით მოლდოვას გაემგზავრნენ. პირველ ტურში ქართველმა ხელბურთელებმა აზერბაიჯანელებს სძლიეს 41:23. მეტოქის კარში 10 ბურთი რევაზ ჭანტურიამ და სერგო დათუკაშვილმა გაიტანეს. მეორე მატჩში სომხებს აჯობეს. ამჯერად ირაკლი ჩიქოვანმა და რატი მსხვილიძემ იყოჩაღეს – 8-8 გოლით შეეწივნენ საკუთარ გუნდს.**

გადამწყვეტი ორთაბრძოლა ჩვენს სპორტსმენებს მასპინძლებთან ჰქონდათ. დაძაბული პაექრობა ქართველთა გამარჯვებით (38:34) დამთავრდა და პირველი ჯგუფიდან „ჩელენჯ ტროფის“ ფინალური შეხვედრის საგზური დაიმსახურეს. ეს პაექრობა კი 23 იანვარს ავსტრიის ქალაქ ლინცში გაიმართება. ჩვენების მეტოქე ფინეთსა და მალტას შორის უძლიერესი იქნება.

რაგბი

# „ვერცხლმა“ საგზური ვერ მოგვიტანა



**პორტუგალიის ქალაქ კოიმბრაში დამთავრდა 19 წლის მორაგბეთა ევროპის პირველობა, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა.** ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა ჯერ გერმანიას სძლიეს, შემდეგ რუსეთს და ფინალში გავიდნენ, სადაც იტალიელებს დაუპირისპირდნენ. დაძაბული პაექრობა აპენინელებმა 16:3 მოიგეს და ოქროს მედლებთან ერთად 2010 წლის 20-წლამდელ მორაგბეთა მსოფლიოს პირველობის საგზურიც მოიპოვეს. ქართველები ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ. მესამე ადგილზე ესპანელები გავიდნენ, რომლებმაც რუსები დაამარცხეს – 29:24.

ჭადრაკი

# მეორე ადგილს დასჯერდნენ



**სერბულ ნოვი სადში დამთავრდა მოჭადრაკეთა გუნდური ევროპის ჩემპიონატი. ბოლო ტურში საქართველოს ქალთა ნაკრებმა 2,5:1,5 სძლია რუმინეთს და 16 ქულა მოაგროვა, რამაც ჩვენებს მხოლოდ ვერცხლის მედალი მოუტანა, რადგან ამდენივე ქულით, მაგრამ ინდივიდუალურად მოპოვებული მონაგრით რუსებმა გაგვისწრეს და ჩემპიონობაც მათ ხვდათ. ვერცხლის მედლები დაიმსახურეს ნანა ძაგნიძემ, ლელა ჯავახიშვილმა, სოფიკო ხუხაშვილმა, ნინო ხურციძემ და ბელა ხოტენაშვილმა.**

საქართველოს ვაჟთა ნაკრები ბოლო ტურში ნორვეგიას დაუზავდა და 9 ქულით მე-13 ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე ზურაბ აზმაიფარაშვილის კაპიტნობით აზერბაიჯანის ნაკრები გავიდა.

# მსოფლიოში საუკეთესონი

**როგორც ელისტიდან იტყობინებიან, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ – ფიდემ – გამოაქვეყნა მოჭადრაკეთა მსოფლიო რეიტინგი 1 ნოემბრისთვის.**



აი, იმ დიდოსტატთა პირველი ათეული, ვინც რეიტინგის სათავეში მოექცა: 1. **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი) – 2810, 2. **მაგნუს კარლსენი** (ნორვეგია) – 2801, 3. **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი) – 2788, 4. **ლევონ არონიანი** (სომხეთი) – 2786, 5. **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი) – 2772, 6. **ვუგარ გაშიმოვი** (აზერბაიჯანი) – 2758, 7. **ბორის გელფანდი** (ისრაელი) – 2758, 8. **პეტრე სვიდლერი** (რუსეთი) – 2755, 9. **პეტერ ლეკო** (უნგრეთი) – 2752, 10. **ალექსანდრე მოროზევიჩი** (რუსეთი) – 2750.

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**ეროვნული ჩემპიონატის XIII ტური ერთობ მშვიდობიანი გამოდგა – 5 მატჩიდან 3 ფრედ დასრულდა, თუმცა დარჩენილ ორში სწორედ იმ გუნდებმა მიაღწიეს გამარჯვებას, რომლებიც ყველაზე რეალურ პრეტენზიას აცხადებენ ოქროს მედლებზე.**

**„ვიტ ჯორჯია“ – „დინამო“ 0:0.** მოგეხსენებათ, ამ ცოტა ხნის წინათ დინამოელთა ხელმძღვანელობამ ქვეყნის ყველაზე პოპულარული კლუბის ბოლოდროინდელი წარუმატებლობების მიზეზად დავით დიღმელაშვილი მიიჩნია და მასთან კონტრაქტი გაწყვიტა, მაგრამ როგორც ამჯერადაც დადასტურდა, „თეთრ-ლურჯთა“ ერთ ადგილზე ბუქსაობის ფესვები გაცილებით ღრმადაა საძებნი. ამასობაში კი იკარგება ძვირფასი ქულები, კონკურენტები თანდათან ზრდიან ქულათა სხვაობას და მორიგ ტიტულზე ოცნება უტოპიას ემსგავსება.



რაც შეეხებათ ვეტერინარებს, მათ კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ კახი კაჭარავას შეგირდთათვის ყველაზე უხერხულ მეტოქედ რჩებიან.

**დანარჩენი შეხვედრების შედეგები:** „ბაია“ – „სამტრედია“ 2:2, „ლოკომოტივი“ – „ცხინვალი“ 0:0, „ზესტაფონი“ – „სიონი“ 3:0, „ოლიმპი“ – „გაგრა“ 5:0.

**სატურნირო მდგომარეობა:** „ზესტაფონი“ – 31, „ოლიმპი“ – 30, „ვიტ ჯორჯია“ – 26, „დინამო“ – 20, „ცხინვალი“ – 19, „სიონი“, „სამტრედია“ – 14-14, „გაგრა“, „ბაია“ – 9-9, „ლოკომოტივი“ – 4 ქულა.

**შემდეგ ტურში ითამაშებენ:** „დინამო“ – „ზესტაფონი“ (7 ნოემბერი), „ცხინვალი“ – „ვიტ ჯორჯია“, „გაგრა“ – „ბაია“, „სამტრედია“ – „ლოკომოტივი“, „სიონი“ – „ოლიმპი“ (8 ნოემბერი).

* * *

**დღეს და ხვალ ევროპის სტადიონებზე ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის IV ტურის თამაშები გაიმართება.** ეტყობა, ამან ზოგიერთი ბობოლა კლუბის განწყობაზე იმოქმედა, რამაც ეროვნული ჩემპიონატების მორიგ მატჩებში მათი შეფერხება გამოიწვია.

**იტალია.** „იუვენტუსი“ – „ნაპოლი“ 2:3, „ლივორნო“ – „ინტერი“ 0:2, „რომა“ – „ბოლონია“ 2:1, „ფიორენტინა“ – „კატანია“ 3:1.

**ესპანეთი.** „ოსასუნა“ – „ბარსელონა“ 1:1, „რეალი“ – „ხეტაფე“ 2:0, „ხერესი“ – „სევილია“ 0:2, „ბილბაო“ – „ატლეტიკო“ 1:0.



**ინგლისი.** „სანდერლენდი“ – „ლივერპული“ 3:1, „ბოლტონი“ – „ჩელსი“ 0:4, „არსენალი“ – „ტოტენჰემი“ 3:0, „მანჩესტერი“ – „ბლექბერნი“ 2:0.

**გერმანია.** „შტუტგარტი“ – „ბაიერნი“ 0:0, „ვოლფსბურგი“ – „მაინცი“ 3:3.

ინტერნეტიდან

## სერენამ და დაამარცხა



**დოხაში 2009 წლის დასკვნით ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 4,55 მილიონი დოლარი იყო, ფინალში სერენა უილიამსმა ორ სეტში დაამარცხა თავისი უფროსი და ვინუსი – 6:2, 7:6.**

ამ გამარჯვებით სერენამ დაიბრუნა მსოფლიოს პირველი ჩოგანოსნის ტიტული და პრიზად მილიონ ნახევარ დოლარზე მეტი მიიღო, მისი და კი 780 ათასი დოლარით „დაკმაყოფილდა“.

## „ფორმულა -1“ გასრულდა



**„რედ ბულ-რენოს“ პილოტების სებასტიან ფეტელისა და მარკ უებერის გამარჯვებით დამთავრდა ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპი „აბუ-დაბის გრან-პრი“. მესამე ადგილი კი უკვე მსოფლიო ჩემპიონმა ჯენსონ ბატონმა („ბრაუნი“) მოიპოვა. მეოთხე ადგილზე კი მსოფლიო ჩემპიონის თანამებრძოლი რუბენს ბარიკელო იყო.**

ამ გამარჯვებამ ფეტელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახადა, ბარიკელო კი მესამე ადგილზე გავიდა.

ყოფილი მსოფლიო ჩემპიონები ჰემილტონი და ალონსო კი შესაბამისად მე-5 და მე-9 ადგილებზე არიან.

კონსტრუქტორთა თასზე „ბრაუნმა“ გაიმარჯვა 172 ქულით, „რედ ბულს“ 153,5 ქულა აქვს. „მაკლარენს“ – 71, „ფერარის“ – 70 და ა. შ.

## ფოტოგადაღებისთვის არ სცალია

**საგამომცემლო საქმემ გაიტაცა „მანჩესტერ იუნაიტედის“ და ინგლისის ნაკრების მცველი რიო ფერდინანდი. მან ჟურნალისტებს უამბო თავისი საყვარელი მუზის – ვიქტორია მურის შესახებ. ის ხომ მთავარი დამამშვენებელია ჟურნალის „N5“ ბოლო ნომრისა.**

„ვიქტორია გადასარევი ქალია. ჩვენ სწორი ნაბიჯი გადავდგით – ის ნომრის მთავარი გმირი რომ გავხადეთ“, – თქვა ფერდინანდმა, – ის საკმაოდ პოპულარული გახდა, რაც კარგად დაეხმარება ფოტომოდელის კარიერაში. მან ხომ შემთხვევით არ გაიმარჯვა, „პლეიბოის“ კონკურსში, ლას-ვეგასში რომ გაიმართა“.



კითხვაზე, თუ რატომ არ მიიწვია გადასაღებად ალექს ფერგიუსონი, ფერდინანდმა უპასუხა, ეს ძალზე ძლიერი ნაბიჯი იქნებოდა, მაგრამ სერ ალექსი დაკავებულია და დროს ვერ პოულობს ფოტოგადაღებისთვის“.

## ლევან თოიძე — 80

# დროის შვილი და მემატიანე

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ლევან თოიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა გაიმართა.**

პროფესორი ლევან თოიძე ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მის წიგნებსა და სტატიებს მაღალი მეცნიერული ღირებულების პარალელურად ახლად აღდგენილი ქართული სახელმწიფოსთვის დიდი ეროვნულ-პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა და ცხოველმყოფელობა დღესაც არ დაუკარგავს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეცნიერის წვლილი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში გაჩაღებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების სიღრმისეული სოციალურ-პოლიტიკური ანალიზი. ლევან თოიძე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მეცნიერების სრულიად ახალი დარგის — კონფლიქტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი სტატიები დაბეჭდილია ქართული ენციკლოპედიის სხვადასხვა ტომში, საქართველოში თუ უცხოეთში გამომავალ არაერთ პერიოდულ გამოცემაში.



პროფესორის გარდაცვალებიდან ცამეტი წელიწადი გავიდა, მაგრამ როგორც სალამოზე ბატონმა ოთარ ჯანელიძემ გულდაწყვეტით აღნიშნა, ლევან თოიძე სწორედ იმ დროს აღესრულა, როცა მისი ცოდნა, გონება და კალამი ასე სჭირდებოდა ჩვენს სამშობლოს.

ცნობილი მეცნიერი ოზურგეთიდან იყო. მას ბავშვობა მეორე მსოფლიო ომმა წაართვა და ნაადრევად დაავაჟკაცა. სკოლის მერხიდანვე შეაჩვია გულმოდგინე შრომას. 1951 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ისტორიის სპეციალობით. ამის შემდეგ მუშაობა დაიწყო აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში. რამდენიმე წელიწადი პარტიის ისტორიის ინსტიტუტში გაატარა. 1959-61 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მოღვაწეობდა. 1990-96 წლებში კი ეკავა საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობა, ხოლო 1996 წლიდან გარდაცვალებამდე პარლამენტის საინფორმაციო-კვლევითი და საბიბლიოთეკო ცენტრის ექსპერტთა საბჭოს წევრად მუშაობდა.

„ლევან თოიძე — ჩემი ერთ-ერთი გამორჩეული სტუდენტი და კოლეგა“ — ასე დაარქვა თავის მოხსენებას ისტორიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ. მან აღნიშნა, რომ „გარკვეული წრეების წარმომადგენლები გამუდმებით აცხადებენ, რომ ჩვენ წავაგეთ საინფორმაციო ომი ოსებთან და აფხაზებთან. თუ პოლიტიკოსებმა წააგეს, ეს მათი საქმეა, ქართველ მეცნიერებს კი საინფორმაციო ომი არ წაუგიათ და ამის ერთ-ერთი დასტურია ჟურნალ „Georgia“-ში ლევან თოიძის გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები“.

ლევან თოიძეზე, როგორც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ისტორიის მკვლევარზე, ვრცლად ისაუბრა ოთარ ჟორდანიამ. დიდი გულისტკივილითა და სიყვარულით მოიგონეს პროფესორი ისტორიკოსებმა როინ მეტრეველმა, ალექსანდრე დაუშვილმა, თენგიზ პაპუაშვილმა, ჯემალ გამახარიამ, გერმანე ფაცაციამ...

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოიცა კრებული „ლევან თოიძე-80“ ნანა ხაზარაძისა და ელზა ნაბახტეველის რედაქტორობით. ავტორები შეეცადნენ წარმოეჩინათ მეცნიერის, მოქალაქისა და პიროვნების სხვადასხვა საინტერესო შტრიხი. მათ შორის საგულისხმოა ლევან თოიძის განუყრელი მეგობრის დევი სტურუას მოგონებები: „შინაარსის და ფორმის შესატყვისობაზე თუ ვიმსჯელებთ, ლევანი სწორედ ამ ფენომენის ეტალონი იყო. საოცრად ლამაზი, ტანადი, მუდამ სპორტულ ფორმაში მყოფი, დახვეწილი, თავაზიანი, ჭეშმარიტი ჯენტლმენი, ყოველთვის კოხტად ჩაცმული და მოვლილი ლევანი საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა. მასთან ყოველი შეყრა, საუბარი, ურთიერთობა ნამდვილი ზეიმი იყო. კარგი მუშაობაც იცოდა, კარგი ქეიფიც, სიმღერაც ემარჯვებოდა. იყო სანიმუშო მეოჯახე და ასევე სანიმუშო მეგობარი“.

ბევრი ითქვა სალამოზე ისტორიკოსის პიროვნულ თვისებებზე, მის წარმატებულ და სანიმუშო სამეცნიერო კვლევებზე, მისი მოღვაწეობის ღირსშესანიშნაობაზე. და როგორც ოთარ ჯანელიძემ აღნიშნა: „წავიდა კაცი და დარჩა არა მხოლოდ სახელი, არამედ სოლიდური შემოქმედებითი მემკვიდრეობაც, რომელმაც უკვე დაიმკვიდრა სათანადო ადგილი ქართულ საისტორიო მეცნიერებაში“.

**ნია ფიფია**

### განცხადება

**დაინტერესებულ პირებს ვაცნობებთ, რომ დაწყებულია შპს „გენო და კომპანიის“ ლიკვიდაცია.**

პრეტენზიებით შეიძლება მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: დ. ჩხოროწყუ, გოგეჩიას ქ. №28.

**საკონტაქტო პირი — გენადი მალანია. მობ. 899 71-88-46, 895 76-46-67.**

**25.09.2009 წ.**

### განცხადება

**დაინტერესებულ პირებს ვაცნობებთ, რომ დაწყებულია შპს „ქუთაისი I“-ის ლიკვიდაცია.**

პრეტენზიებით შეიძლება მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, გელათის ქ. III შესახვევი №4.

**საკონტაქტო პირი — მერაბ ლომთაძე**
**მობ. 897 57-53-21, ბინის ტელ. 8231 4-40-74.**
**29.09.2009 წ.**

## ინფორმაცია

### კახეთში წვიმს, ყაზბეგში დიდთოვლობაა

**კახეთში მეოთხე დღეა გადაუღებლად წვიმს. სტიქიამ ყველაზე მეტად ლაგოდეხის რაიონის სოფელი კაბალი დააზარალა. ადიდებულმა მდინარე კაბალმა სოფელ უზუნთალაში ორი სახლი დაანგრია. დაიხოცა შინაური ფრინველი. მოსახლეობის ნაწილი ზამთრის სარჩოს გარეშე დარჩა. ამ დროისთვის 80-მდე სახლის პირველი სართული წყლით არის დაფარული.**

როგორც რადიო „ჰერეთს“ კაბალის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ჯემალ ნიაზოვმა განუცხადა, ორშაბათ დილიდან ადიდებულ მდინარეზე წყლის კლება დაფიქსირდა, თუმცა სამუშაოების ხარისხიანად შესრულება მაინც შეუძლებელია.

მისივე თქმით, დაიტბორა კაბალის ბაზარიც, ზარალი უმნიშვნელოა.

ხშირი ნალექის გამო სტიქიამ კახეთის რეგიონს ბოლო ერთი თვის განმავლობაში უკვე მესამედ შეუტია.

სტიქიამ თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის და გურჯაანის რაიონები საგრძნობლად დააზარალა. წყალდიდობამ ახმეტა-თიანეთის გზაც ჩახერგა და სოფელ ალვანში სამი სახლი დატბორა. სახლები დატბორილია სოფელ ფშაველშიც, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ზამთრის მარაგის გარეშე დარჩა.

„ახალი მემარჯვენეების“ ყვარლის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ნუგზარ ღვინიაშვილის განცხადებით, ყვარელში მდინარე დურუჯი ადიდდა და ჯებირი გაარღვია, რამაც ქალაქ ყვარელში რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, გაზგასამართი სადგური და სპირტსახდელი საწარმო დატბორა. წყალდიდობამ ყვარლის 5 სოფელში ნათესებიც გაანადგურა.

ნუგზარ ღვინიაშვილი ყვარლის ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებს. მისი თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება პრევენციულ ღონისძიებებს არ ატარებს და მოსახლეობას ბედის ანაბარა ტოვებს.

**ყაზბეგში** დიდთოვლობაა. სტიქიის გამო გუდაური-კობის მონაკვეთზე ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

შეზღუდვა გზის ამ მონაკვეთზე ცუდი ხილვადობისა და ზვავსაშიშროების გამო დაწესდა. გზის დანარჩენ მონაკვეთებზე კი მოძრაობა თავისუფალია.

### ღორის გრიპი ივნარში შემოგვიტევს

**H1N1 ვირუსის საქართველოში გავრცელების საფრთხესთან დაკავშირებით ჯანდაცვის მინისტრმა საგანგებო განცხადება გააკეთა.**

— საქართველოში რეგისტრირებულია დაავადების 27 შემთხვევა. ყველა მათგანი საზღვარგარეთიდან არის შემოტანილი და ადგილზე დაავადება არ გავრცელებულა, — განაცხადა კვიტაშვილმა.

მისივე განცხადებით, H1N1 ვირუსის შემთხვევები საქართველოში იანვარში მოიმატებს.

უკრაინაში დაავადების შემთხვევების მატებასთან დაკავშირებით ჯანდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ H1N1 ვირუსის გავრცელება უფრო დასავლეთ უკრაინაში ფიქსირდება.

ბოლო მონაცემებით, უკრაინაში H1N1 გრიპის ეპიდემიით დაღუპულთა რიცხვმა 55-ს მიაღწია.

### ავარიის შედეგად ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა

**რუსთავის გზატკეცილზე კვირა საღამოს ავარია მოხდა, რის შედეგადაც ერთ-ერთ ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა.**

ადგილზე სასწრაფო-სამედიცინო დახმარების 4 მანქანის გამოძახება გახდა საჭირო. დაშავებულები თბილისის პირველ კლინიკურ და წმინდა მიხეილის სახელობის საავადმყოფოებში არიან გადაყვანილები.

ექიმების თქმით, დაზარალებულებს თავისა და გულმკერდის არეში მრავლობითი დაჟეჟილობები აღენიშნებათ, თუმცა მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

თვითმხილველთა თქმით, „ფორდის“ მარკის ავტომანქანის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, საპირისპირო მხარეს გადავიდა და ამავე მარკის სამარშრუტო ტაქსს შეეჯახა. შედეგად მსუბუქ ავტომობილს ცეცხლი გაუჩნდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## განცხადება

### სავალდებულო სატენდერო შეთავაზების თაობაზე

**სავალდებულო სატენდერო შეთავაზება სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციათა გამოსასყიდ ფასად (ქვემოთ განსაზღვრული) ყიდვის თაობაზე კეთდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის $53^2$ მუხლის შესაბამისად, რომლის საფუძველიცაა შპს „ლიბერთი კაპიტალის“ („მყიდველი“) მიერ სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ ხმათა საერთო რაოდენობის 1/2-ზე მეტის შეძენა.**

**გამოსყიდვის პირობები და პროცედურები:**

• მყიდველი ფლობს სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ გამოშვებულ 1,434,047,240 (ერთი მილიარდ ოთხასოცდათოთხმეტი მილიონ ორმოცდაშვიდიათას ორასორმოც) ცალ ჩვეულებრივ სახელობით აქციას, რაც შეადგენს გამოშვებული საწესდებო კაპიტალის 91.218%-ს და სურს გამოისყიდოს სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ დარჩენილი 138,062,460 (ასოცდათვრამეტი მილიონ სამოცდაორიათას ოთხასსამოცი) ცალი ჩვეულებრივი სახელობითი აქცია, რომელიც სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ გამოშვებული საწესდებო კაპიტალის 8.782%-ს შეადგენს.

• სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციების გამოსასყიდი ფასი შეადგენს 0.018 (ნული მთელი თვრამეტი მეათასედი) ლარს ერთ ცალ აქციაზე. გამოსასყიდი ფასი სავალდებულო სატენდერო შეთავაზების მიზნისათვის დადგენილია დამოუკიდებელი საბროკერო კომპანიის მიერ სათანადოდ შესრულებული შეფასების ანგარიშით და არის იმ ფასის ანალოგიური, რაც შპს „ლიბერთი კაპიტალმა“ გადაიხადა 2009 წლის 19 სექტემბერს გამოშვებული საწესდებო კაპიტალის 91.218%-ის შეძენისას.

• სავალდებულო სატენდერო შეთავაზება გრძელდება 2009 წლის 3 ნოემბრიდან 2010 წლის 4 იანვრის ჩათვლით.

• სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ გამოშვებული აქციების დარჩენილ 8.782-%-ის ანუ 138,062,460 (ასოცდათვრამეტი მილიონ სამოცდაორიათას ოთხასსამოცი) აქციის სრულად გაყიდვის თანხმობათა არსებობის შემთხვევაში შემთავაზებელი გამოისყიდის აქციათა სრულ რაოდენობას.

• სავალდებულო სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობის შეცვლის შემთხვევაში გაკეთდება შეთავაზების განცხადების განახლებული ვერსია და გავრცელდება დადგენილი წესით.

• შესყიდვა მოხდება სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ.

• სს „საქართველოს სახალხო ბანკის“ აქციონერთაგან გაყიდვაზე განაცხადების შეგროვებას განახორციელებს საბროკერო კომპანია შპს „ლიბერთი სიქიურითიზ“ (ლიცენზიის № 09-10/8), მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. № 74, მე-7-ე სართული, ტელ: 555500-247.

• „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის $53^2$ მუხლის შესაბამისად შედგენილი აქციათა გამოსასყიდი ფასის შეფასების ანგარიშის გაცნობა აქციონერებს შეუძლიათ საბროკერო კომპანიაში შპს „ლიბერთი სიქიურითიზ“ (ლიცენზიის ნომერი № 09-10/8), მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. № 74, მე-7-ე სართული, **ტელ: 555500-247.**

**მყიდველი:**
**შპს „ლიბერთი კაპიტალი“-ს**
**წარმომადგენელი**
**ვლადიმერ გურგენიძე დირექტორი**

**ქ. თბილისის 117-ე საჯ. სკოლა აცხადებს კონკურსს უზურფრუქციის ხელშეკრულებით გაფორმებულ სკოლის შენობის 67 მ² ფართის იჯარით გასაცემად, ბუფეტის ფუნქციონირებისთვის. განცხადება მიიღება წარმოებაში განაცხადის გამოქვეყნებიდან 1 თვის განმავლობაში. საკ. ნომერი 76-64-66.**

**ილო ბარათაშვილი ოჯახით იუწყება ვახტანგ ქადეიშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
**„საქართველოს რესპუბლიკაში“**
**99-62-77; 899 32-85-76.**

გაითვალისწინეთ!

# მაგნიტური დღეები ნოემბერში

ამ დღეებში გრაფიკულად: 4, 11, 14, 18, 20 და 29 რიცხვებში შეიძლება შეიმჩნეოდეს სისუსტე და ძალების დაქვეითება. რეკომენდებულია შევამციროთ დატვირთვა და გავზარდოთ დასვენების დრო.

2009 წლის ნოემბრის დაძაბული დღეები: 9 (18-21სთ, 12 (21-23სთ, 15 (18-20სთ, 16 (20-23სთ, 17 (12-14სთ, 19 (20-23სთ, 23 (21-23სთ, 24 (06-08სთ, 25 (00-03სთ. (ფრჩხილებში მოცემული რიცხვები საათებს მიუთითებსძ.

ახლა კი უფრო დაწვრილებით.

### აქტიური პროცესები ნოემბერში

ნოემბერში გეოფიზიკური აქტიურობის გაძლიერება მოსალოდნელია: 5, 7-12, 15-18 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახის ავარიულობის გადიდება, დაძაბულობა სოციუმში და სეისმოაქტიურობის გაძლიერება.

9 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, მთვარისა და მარსის შეერთება. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებები. არ არის გამორიცხული გაღიზიანებულობა, თავის თავში დარწმუნება, მისწრაფება გარემოსადმი დომინირებისკენ. შესაძლებელია თავის ტკივილი, შფოთიანი ძილი, რადიკულიტი, ხერხემლის ავადმყოფობათა გართულება, საკვების გადამუშავების დარღვევა. საჭიროა გავუფრთხილდეთ გულს და დავიცვათ იგი ზედმეტი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვებისგან, გამოვიჩინოთ ყურადღება გარშემომყოფთა მიმართ. კარგია ფიზიკური ვარჯიშები, მოაწყვეთ გასეირნებანი, სასარგებლოა შემოქმედებითი გატაცება და ბავშვებთან თამაში, წამოწყებული საქმის დასრულება. ერიდეთ ტრავმატიზმს.



12 – მთვარისა და სატურნის შეერთება. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. სავარაუდოა სისუსტე, გაფანტულობა, გაუბედაობა, საკუთარი თავისადმი უკმაყოფილება, აგრეთვე გარეგანი ვითარებებისადმი, მიდრეკილება მოულოდნელი გადაწყვეტილებებისა და ქცევებისადმი. შესაძლებელია საყრდენ-მოძრავი აპარატის ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, აგრეთვე თირკმელების, აღქმის ორგანოებისა, საკვების გადამუშავების დარღვევა. ერიდეთ ტრავმატიზმს, ინფექციურ დაავადებებს, ფეხების და მოძრაობის ორგანოების გაცივებას, ნუ ასწევთ სიმძიმეებს.

15 – მთვარისა და ვენერას შეერთება. შესაძლებელია სიმკვეთრე, ეჭვიანობა, ახლობელი ადამიანების კონტროლის სურვილი, ინტრიგებისადმი მისწრაფება. მოსალოდნელია გაცივება, ტკივილები ზურგში, თირკმელების დაავადებათა გამწვავება, აგრეთვე საკვების გამოყოფის გზებისა, სასქესო ორგანოებისა. არ არის გამორიცხული ცხვირ-ყელის დაავადებანი და კვებითი მოწამვლა. უნდა ვერიდოთ გაცივებას, თბილად იქონიეთ ყელი, წელი და ფეხები. რეკომენდებულია გამოვრიცხოთ ცხარე საკვები და ალკოჰოლი, გამოიყენეთ მაღალი ხარისხის პროდუქტები.

16 – ახალი მთვარე. მერკული გადადის მშვილდოსნის ნიშანში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. სავარაუდოა გაღიზიანებულობა, უყურადღებობა, მოუსვენრობა. შესაძლებელია ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, რეპროდუქტიული ორგანოებისა და სწორი ნაწლავების დაავადებათა გამწვავება. რეკომენდებულია უარი ვთქვათ ცხარე და ცხიმიან საკვებზე, ალკოჰოლზე, აქტიური წყლის პროცედურებზე, მივიღოთ მხოლოდ სიცოცხლისათვის აუცილებელი წამლები, ვერიდოთ გაცივებას და გონებრივ გადატვირთვას.

17 – მთვარის მერკურთან შეერთება. შესაძლებელია უყურადღებობა, სისხარტე. შეიძლება შეგაწუხოთ კისრისა და ზურგის ნევრალგიამ, ტკივილებმა ხელებსა და სასუნთქ ორგანოებში. არ არის გამორიცხული ღვიძლის, ნაღველ და შარდგამომყოფი გზების დაავადებანი. ერიდეთ ორპირ ქარს, გონებრივ დაძაბვას, ყურადღებით იყავით ტრანსპორტით მოგზაურობის დროს.

19 – მთვარის და პლუტონის შეერთება. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია ფიზიკური სისუსტე, რწმენის დაქვეითება საკუთარ ძალებში, შურიანობა და განხიბლვა. არ არის გამორიცხული საყრდენი და მოძრავი აპარატების დაავადებათა გამწვავება, აგრეთვე თირკმელების, შარდის ბუშტის, სასქესო ორგანოების, კანის, კბილების დაავადებათა გამწვავება. შესაძლებელია აგრეთვე ტკივილები ძვლებსა და სახსრებში. ერიდეთ გაცივებას, ფიზიკურ სამუშაოებს, კონფლიქტურ სიტუაციებს.

23 – მთვარის და იუპიტერის შეერთება. შესაძლებელია არასტანდარტული აზროვნება, საკუთარ თავზე წარმოდგენის ზრდა, სიზარმაცე, გაღიზიანებულობა, გაზრდილი ჭამის მადა. მოსალოდნელია სისხლის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებათა გამწვავება, ნივთიერებათა ცვლისა და შარდსადენი ფუნქციების დარღვევა, ყნოსვისა და მხედველობის დროებითი გაუარესება. არ არის გამორიცხული თავის ტკივილი და ძილის დარღვევა, ტკივილები ფეხებსა და კრუნჩხვები კუნთებისა. ერიდეთ გაცივებას და დამქანცავ სეირნობებს.

24 – მთვარისა და ნეპტუნის შეერთება. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შესაძლებელია გაფანტულობა, უყურადღებობა, გაღიზიანებულობა. უფრთხილდით თვალებს, ნერვულ სისტემას, ვენებს და ფეხებს. არ არის გამორიცხული საერთო სისუსტე, ანემია, ალერგიული რეაქციები, ტკივილები ფეხებში, კრუნჩხვები. ერიდეთ სტრესებს, ალკოჰოლს, მოწამვლასა და ტრავმატიზმს.

25 – მთვარის პირველი მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. არ არის გამორიცხული ფსიქიკური დაავადებანი, თავისი თავის მოტყუება, მგრძნობიარობა, უყურადღებობა. იზრდება ინფექციურ დაავადებათა გადიდების ალბათობა. შესაძლებელია ტერფების გასივება, ტკივილები სისხლძარღვებში და კოჭრებში. რეკომენდებულია შევამციროთ ერთ ადგილზე დიდხანს დგომისა და სიარულის დრო, შევზღუდოთ სასმელი სითხის ოდენობა, გამოვრიცხოთ ცხარე საკვები და ალკოჰოლი. ერიდეთ დაცემას, ტრავმატიზმს, მოწამვლებს.

ანეკდოტები

ორი ძმაკაცი საუბრობს:
– ჩემი სიდედრი გუშინ გველების გამოფენაზე იყო.
– მერე?
– მედლით დაბრუნდა.

* * *

– მიხო, რად წაგეჩხუბა ის ქალი?
– რა ვიცი, მკითხა, აბა, თუ გამოიცნობ, რამდენი წლისა ვარო.
– მერე?
– გამოვიცანი!

* * *

– უკვე ას ოცდაცამეტი წლისა ვარ. ჩემი კალო უკვე გავლეწე, მეყოფა.
– გონს მოდი, შვილო!

* * *

– თუ ბავშვი შენ დაგემსგავსა, ეს მისთვის დიდი უბედურება იქნება, – ეუბნება ცოლი ქმარს.
– თუ ბავშვი მე არ დამემსგავსება, ეს შენთვის იქნება დიდი უბედურება!



* * *

– ჟანა დარკს მიესაჯოს კოცონზე დაწვა!
– მაგრამ ის ხომ ძალიან ლამაზია!!!
– კარგი, მაგრამ მერე მაინც დავწვავთ!

* * *

– მიხო, რად დაწერე შენს საკონტროლო ნაშრომში, მამაჩემი სულელია, დედაჩემიც სულელია, მე კი ოჯახში ყველაზე ჭკვიანი ვარო?
– რად და, ოჯახში სულ ამაზეა ლაპარაკი. დედაჩემი მამაჩემს სულ ეუბნება, სულელი ვიყავი, შენ რომ გამოგყევიო, მამაჩემი – სულელი ვიყავი, შენ რომ მოგიყვანეო. მე კი ჯერ არ ვაპირებ დაქორწინებას.

* * *

სამშობიაროს მისაღებში ორი მამაკაცი ნერვიულად სცემს ბოლთას. ბოლოს ერთი ეკითხება მეორეს:
– ბიჭს ელოდებით?
– არა, გოგოს, იგი აქ ექთნად მუშაობს.

* * *

– დედი რატომ არის, რომ ჩემი ძამიკო თურმე წერომ მოიყვანა, მე კი კომბოსტოში მიპოვეს?
– შენ წეროს დაუვარდი.

* * *

რაც მეტი ფული გაქვს, მით მეტია პრობლემებიც, მაგრამ თუ ბევრი პრობლემა გახრჩობს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყელამდე ფული გაქვს.

დღის კალენდარი

3 ნოემბერი

22-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. სამშაბათი.

ღირსი ილარიონ დიდისა (371-372ძ; მოწამეთა: დასისა, გაიოზისა და ზოტიკესი (303ძ.

## დაიბადნენ:

**1658 – სულხან-საბა ორბელიანი,** დიდი მამულიშვილი, მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე. გარდაიცვალა 1725 წელს.

**1801 – ვინჩენცო ბელინი,** იტალიელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1835 წელს.

**1887 – სამუელ მარშაკი,** პოეტი. გარდაიცვალა 1964 წელს.

**1896 – ნიკოლო მიწიშვილი (ნიკოლოზ სირბილაძეძ,** მწერალი. გარდაიცვალა 1937 წელს.

## გარდაიცვალნენ:

**1911 – ფილიმონ ქორიძე,** მომღერალი, პედაგოგი, ფოლკლორისტი, ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

**1954 – ჰენრი მატისი,** ფრანგი მხატვარი.

## მოვლენები:

**1507** – ლიზა ჯერარდინის მეუღლემ ლეონარდო და ვინჩის დავალება მისცა, დაეხატა მისი მეუღლე. ნამუშევარი ცნობილია მონა ლიზას სახელით.

**1907** – საფრანგეთში მსოფლიოში პირველი შვეულმფრენი აფრინდა.

**1928** – თურქეთი არაბულიდან ლათინურ ანბანზე გადავიდა.

**1936** – აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებში რუზველტი მეორე ვადით აირჩიეს.

**1957** – გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, რომელშიც ძაღლი იმყოფებოდა.

**1973** – გაუშვეს ამერიკული კოსმოსური ხომალდი „მარინერ-10“.

**1992** – ბილ კლინტონმა გაიმარჯვა აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში.

**ღირსსახსოვარი დღეები**:

**იაპონია** – ეროვნული კულტურის დღე.

**ლიმერა** – მადლიერების დღე.

**დომინიკის რესპუბლიკა და პანამა** – დამოუკიდებლობის დღე.

**მედიანიუსი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.